# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 2 ლარი

№151-152 (10154-10155) 2026 წლის 29 ოქტომბერი, ხუთშაბათი





ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ:

## ᲩᲕᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝᲓ, ᲛᲐᲠᲪᲝ ᲐᲡᲐᲘᲜᲫᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲚᲐᲡᲝ ᲝᲗᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲚᲔᲣᲚᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲡᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲙᲚᲐᲡᲔᲚᲛᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲛ ᲨᲔᲐᲚᲝ!

# ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲤᲮᲘᲖᲚᲓᲔᲑᲘᲗ?!



ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ: 5

## ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲒᲘᲯᲔᲑᲔᲜ!

## ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲘᲚᲣᲖᲘᲐ“






ᲒᲘᲕᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ 85 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲘ




## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ XI ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲡᲜᲐᲡ

## ᲕᲘᲜ ᲨᲝᲣᲚᲝᲑᲡ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲑᲡ ᲘᲠᲐᲜᲗᲐᲜ ᲝᲛᲘᲗ? 11

The Daily Telegraph ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲙ ᲚᲝᲣᲡᲝᲜᲘ

## „ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠ ᲘᲛᲒᲔᲪᲘᲚᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ!







## ᲠᲔᲕᲐᲖᲔ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲦᲕᲐᲬᲚᲘᲡ ᲒᲖᲐ


ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲘᲜᲘᲚᲔᲗ SAKRES.GE

ᲕᲔᲑ.ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: WWW.SAK.GE ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ: SAK@SAK.GE

# მასწავლებლის ეროვნული დღე



## საქართველოს პრეზიდენტმა ლაურეატ პედაგოგებს ეროვნული პრემიის მიღება მიულოცა

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი ქუთაისში მასწავლებლის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო, სადაც ლაურეატ პედაგოგებს ეროვნული პრემიის მიღება მიულოცა,** – ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, ღონისძიებას მიხეილ ყაველაშვილი ოჯახთან, პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. პრეზიდენტმა მასწავლებლის როლზე, განათლების მნიშვნელობასა და მომავალი თაობების აღზრდის პროცესში პედაგოგის პასუხისმგებლობაზე ისაუბრა.




მიხეილ ყაველაშვილმა აღნიშნა, რომ მასწავლებლის ეროვნული დღის ქუთაისში აღნიშვნას განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა აქვს, რადგან ქალაქი საუკუნეების განმავლობაში საქართველოს საგანმანათლებლო და სასულიერო ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ამასთანავე, 27 ოქტომბერი დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს უკავშირდება.

**„მასწავლებელი არის ის ადამიანი, რომელსაც სახელმწიფო ყველაზე ძვირფასს – ქვეყნის მომავალს ვანდობთ. სწორედ ამიტომ მასწავლებლის პროფესიული განვითარება, ღირსეული სამუშაო გარემო, სამართლიანი ანაზღაურება და თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა არის არა უბრალოდ სოციალური პოლიტიკა, არამედ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და სტრატეგიული განვითარების აუცილებელი წინაპირობა“,** – განაცხადა **მიხეილ ყაველაშვილმა.**

მიხეილ ყაველაშვილი ასევე შეეხო თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს გამოწვევებს, მათ შორის ტექნოლოგიურ პროგრესს, ხელოვნური ინტელექტის განვითარებასა და ინფორმაციის მზარდ ნაკადებს. პრეზიდენტის განცხადებით, ამ პირობებში მასწავლებლის ამოცანა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება არ არის – მნიშვნელოვანია ახალგაზრდების უნარის განვითარება, გააანალიზონ მიღებული ინფორმაცია, შეაფასონ მისი სანდოობა და გამოიყენონ ცოდნა გონივრულად და პასუხისმგებლობით.

საქართველოს პრეზიდენტმა მასწავლებლის ეროვნული დღე თითოეულ პედაგოგს მიულოცა და მათ წარმატებები უსურვა.

# გივი მიქანაძემ ათი გამარჯვებული პედაგოგი დაჯილდოვა

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ორგანიზებით, ქუთაისში მასწავლებლის ეროვნული პრემიის 2026 წლის დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა.**

**საზოგადოებისა და განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მასწავლებლის ეროვნული პრემია და ფულადი პრიზი ათ ღვაწლმოსილ პედაგოგს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ გადასცა.**

მასწავლებლებს პროფესიული დღე მიულოცეს და მომავალი თაობების აღზრდაში პედაგოგთა როლის მნიშვნელობაზე ისაუბრეს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ და პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა.

2026 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებულები არიან: ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი **ელისო აბრამიშვილი;**

თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი **მირანდა ხაჯიშვილი;**

ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ნინო ლარცულიანი;**

ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ სენაკის N2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ნარგიზი თავართქილაძე;**

თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ცისანა დოლიძე;**

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ დეხვირის საჯარო სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელი **გვანცა ჭაბუკიანი;**

აფხაზეთის N5 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი **რუსუდან ლომთაძე;**

ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის მოქალაქეობის მასწავლებელი **მზიური შავაძე;**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დილისკის N1 საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებელი **იამზე მსხვილიძე;**

ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი **დავით ნიშნიანიძე.**

მასწავლებლის ეროვნული პრემიის 2026 წლის დაჯილდოების ღონისძიება საზეიმო კონცერტით დაიხურა.

**საქართველოს მთავრობის ინიციატივით, მასწავლებლის ეროვნული დღე 27 ოქტომბერს – ქართველი პედაგოგის, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით დაწესდა.**

**ამ თარიღთან დაკავშირებით, უკვე მეოთხე წელია, გამორჩეულ პედაგოგებს გადაეცემა მასწავლებლის ეროვნული პრემია: სპეციალურად შექმნილი სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო – 10 000 ლარი.**

## განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო




## ნუთუ ეს მართალია?!

**მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ღონისძიების წამყვანებს ბიუჯეტიდან ჰონორარი 13000 ლარი გადაუხადეს!!!**

**ქუთაისში, მასწავლებლის ეროვნული პრემიის დაჯილდოების საზეიმო ღონისძიების ორ წამყვანს, ერთი ღონისძიების წაყვანაში ჰონორარი 13 000 ლარი გადაუხადეს. გამორჩეული პედაგოგის ჯილდო კი 10 000 ლარი იყო. ეს ინფორმაცია განათლების სამინისტროსა და ღონისძიების ორგანიზატორ კომპანია შპს „კოლექტიკას“ მორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან ხდება ცნობილი.**

**დოკუმენტს ხელს განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ლევან ღირსიაშვილი აწერს. დანართის თანახმად, სადაც ხარჯებია გაწერილი, წამყვან ლიზა წიკლაურს (ქალის) ჰონორარი 6 510 ლარი, ხოლო წამყვან გიორგი კალანდიას (მამაკაცი) 6 510 ლარი, ფურშეტის მოწყობა, ჯამში ბიუჯეტს 39 000 ლარი დაუჯდა.**

## ირაკლი კობახიძე:

# ამ მძიმე წუთებში საქართველო ესპანეთის გვერდით დგას

**ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ტოლედოსთან ახლოს მატარებლების ტრაგიკული შეჯახების გამო, რომელსაც მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი სოციალურ ქსელ X-ზე წერს.

**„ჩვენი ფიქრები და ლოცვები იმ ოჯახებისკენაა მიმართული, რომლებმაც საყვარელი ადამიანები დაკარგეს. ყველა დაშავებულს სწრაფ და სრულ გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ. ამ მძიმე წუთებში საქართველო ესპანეთის გვერდით დგას“**



**ცნობისთვის, ესპანეთში ორი სამგზავრო მატარებელი ერთმანეთს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად, სულ მცირე, 50 ადამიანი დაიღუპა, 179 კი დაშავდა.**

## გიორგი ფანგანი:

# წყალმომარაგებისა და ბუნებრივი გაზის გაძვირება არ იგეგმება!

**წყალმომარაგებისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიაში მოაზრებული გვაქვს რამდენიმე სცენარი,** – ამის შესახებ სემეკ-ის წევრმა **გიორგი ფანგანმა** ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, შეირჩევა ის მოდელი, რომელიც ამ ეტაპზე ყველაზე გამართლებული იქნება საზოგადოებისთვის, ენერგეტიკული და წყალმომარაგების სისტემისთვის. **დამტკიცებული კანონის საფუძველზე დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება და ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში ტარიფები ახალი მეთოდოლოგიით დადგინდება. რაც შეეხება კითხვას, არის თუ არა პროგნოზირებადი გაზის ტარიფის გაძვირება, სემეკის წევრმა თქვა, რომ – ამჟამად ამ საკითხზე საუბარი რთულია, დეკემბერში იქნება შესაძლებელი.**

# თბილისის ფინანსური სამიტის თვალსაწიერი




**რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს რეგიონულ ფინანსურ და ტექნოლოგიურ ჰაბად ჩამოყალიბება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია, მჯერა, თბილისის ფინანსური სამიტი ხელს შეუწყობს რეგიონული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას, ჩვენი ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას, საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოებას და შუა დერეფნის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებას,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** თბილისის ფინანსურ სამიტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

**ამ პოტენციალის განხორციელებას ხელს უწყობს მაღალი ეკონომიკური ზრდის დინამიკა. 2021-2025 წლებში საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 9.3 პროცენტი შეადგინა. ეს ტენდენცია წელსაც გრძელდება: წინასწარი მონაცემებით, 2026 წლის პირველ 8 თვეში ეკონომიკურმა ზრდამ 7.6%-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მაღალი ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია შედარებით მაღალპროდუქტიული დარგების განვითარებით.**

**მათ შორისაა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სერვისების ექსპორტი. დადებითი მაკროეკონომიკური ტენდენციების პარალელურად, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მზარდი როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, განსაკუთრებით საფინანსო სექტორში, სადაც საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვა ხელს უწყობს სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და ქვეყნის, როგორც რეგიონული ფინანსური ცენტრის პოტენციალის გაძლიერებას. დღეს საფინანსო სექტორს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში წამყვანი ადგილი უკავია,"** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

მთავრობის მეთაურის თქმით, საფინანსო სექტორში კონკურენციის ზრდას, ინოვაციებისა და ციფრული სერვისების განვითარებას ხელს უწყობს საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მნიშვნელოვანი ინიციატივები.

**ბოლო წლებში გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები, მათ შორის, შემუშავდა ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციისა და ზედამხედველობის მარეგულირებელი ჩარჩო და სტაბილური ვირტუალური აქტივების გამოშვების წესი. შედეგად, გაზარდა უკვე ოპერირებს ვირტუალური აქტივის მომსახურების 40-ზე მეტი პროვაიდერი.**

**ასევე, დაინერგა ღია ბანკინგი და შეიქმნა ციფრული ბანკების ლიცენზირების ჩარჩო, რომლის საფუძველზეც საქართველოში უკვე სამი ციფრული ბანკი ოპერირებს. მათგან ერთი სინგაპურული ინიციატივით დაფუძნდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით, განახლდა საგადახდო სისტემებიც, რაც ხელს შეუწყობს ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას და ფინტექ კომპანიებს ინოვაციური პროექტების განხორციელებისთვის მეტ შესაძლებლობას მისცემს. ამავდროულად, ეროვნული ბანკის ჩართულობით, ვითარდება რეგიონული ტრანსსასაზღვრო გადახდების პროექტები, რომლებიც ჩვენი ქვეყნების ფინანსურ კავშირებს კიდევ უფრო გააღრმავებს. მივესალმებით ამ მიმართულებით რეგიონის ქვეყნების აქტიურ თანამშრომლობას. ეს ნაბიჯები ქმნის მყარ საფუძველს საქართველოში თანამედროვე, ინოვაციური და კონკურენტუნარიანი ფინანსური ეკოსისტემის განვითარებისთვის, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და საერთაშორისო გაზრებთან ინტეგრაციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა",** – აღნიშნა **ირაკლი კობახიძემ.**

სამიტის გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **მარიამ ქვრივიშვილი**, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **ნათია თურნავა** და გლობალური ფინანსებისა და ტექნოლოგიების ქსელის (GFTN) ხელმძღვანელი **სოპენენდუ მოჰანტი.**

ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი,** მთავრობისა და პარლამენტის წევრები დაესწრნენ.

**თბილისის ფინანსურ სამიტში, რომელიც უკვე მეორედ იმართება, ცენტრალური ბანკების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, ფინანსური ტექნოლოგიებისა და ინოვაციური კომპანიების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.**

# სერბეთის არჩევნები, როგორც „ოპოზიციის ილუზია"




**საქართველოს რადიკალური ოპოზიციისთვის, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაძლო აკრძალვის წინ, სერბეთის ვადამდელმა საპარლამენტო არჩევნებმა, მოულოდნელად, მხსნელის როლი შეასრულა. ალექსანდარ ვუჩიჩის დამარცხებამ და სტუდენტური სიის გამარჯვებამ ადგილობრივ ოპოზიციასა და მის ლიდერებს იმედის ნაპერწკალი გაუჩინა, თითქოს, საქართველოშიც იგივე სცენარი განმეორდება. თუმცა, იმის დაჯერება, რომ სერბეთის ანალოგი საქართველოშიც იმუშავებს, რეალურ პოლიტიკურ პროცესებზე დაფუძნებული ანალიზი კი არა, ღრმა პოლიტიკური ილუზიაა.**

## ქართული ოპოზიციის იმედი

**2024 წელს, ქალაქ ნოვი-სადში მომხდარი ტრაგედიის (16 ადამიანის დაღუპვა) შემდეგ დაწყებულმა ორწლიანმა პროტესტმა სერბეთში ვადამდელი არჩევნები მოიტანა. ამომრჩეველთა 69%-იანმა აქტივობამ სტუდენტურ სიას ხმების 52.54% (135-140 ადგილი) მოუტანა, ხოლო ვუჩიჩის მმართველ გუნდს – 39.29% (105 ადგილი). ვუჩიჩმა დამარცხება აღიარა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს იყო დასავლური დიფ სთეითის მხარდაჭერილი პროცესების ლეგიტიმაცია.**

სერბეთის მოვლენებს საქართველოს ოპოზიციიდან მყისიერი შეფასებები მოჰყვა:

ექსპრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილის** განცხადებით, სერბეთის მაგალითი ამტკიცებს, რომ ავტორიტარული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში უმედობა დაუშვებელია და საზოგადოებას ლიდერების გარეშეც ძალუძს გაერთიანება.

კიდევ ერთი ექსპრეზიდენტი **მიხეილ საკაშვილი** კი მოვლენას წარმოუდგენლად პოზიტიურ ამბავს უწოდებს და აცხადებს, რომ ხალხს არ სჭირდება კონკრეტული ლიდერები, არამედ გამარჯვების რწმენა.

ყოფილი-ძლიერი საქართველოს ლიდერი **გრიგოლ გეგელია** მიიჩნევს, რომ ვუჩიჩი გაერთიანებულმა ერმა დაამარცხა და ეს არის მაგალითი იმისა, რომ ხალხის ნებას ვერანაირი რეპრესია ვერ აღუდგება.

## რატომ ვერ განხორციელდება სერბული სცენარი?

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა ვუჩიჩის ძალის პროპუტინისტურად მოხსენიებას გრიუსელის მიერ გავრცელებული ყალბი ნარატივი უწოდა და მკაფიოდ განმარტა, რატომ არის სერბეთისა და საქართველოს შედარება არასწორი.**

პაპუაშვილმა სერბეთის გამარჯვებული ძალა და ქართული ოპოზიცია ერთმანეთს სამი ძირითადი არგუმენტით დაუპირისპირა.

**რწმენა და ეროვნული ღირებულებები – სერბეთში ის ძალა, რომელმაც გაიმარჯვა არჩევნებში, ეს ის ძალაა, რომელიც აქციებზე გამოდიოდა ხატებით, მაშინ, როდესაც ჩვენთან ფსევდორელიგიური სექტა თავს ესხმის საქართველოს ეკლესიას,** – განაცხადა მან.

**– სერბეთში ის ძალა ამბობს, რომ სერბეთის ინტერესებია უპირატესი ევროკავშირის ინტერესებთან შედარებით... რა ხდება ჩვენთან? ისინი ამბობენ, რომ ცალ ფეხზე უნდა დავუდგეთ ბრიუსელს, ბრიუსელის ინტერესი არის გადამწყვეტი..**



ხოლო მესამე არგუმენტად მან ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მოიყვანა.

**კოსოვოსთან დაკავშირებით, ის ძალა ამბობს ყოველგვარი დათქმების გარეშე, რომ კოსოვო არის სერბეთის შემადგენელი ნაწილი და მის დამოუკიდებლობას არასოდეს არ აღიარებენ, ხოლო ჩვენთან ეს რადიკალური ოპოზიცია ამბობს, რომ აფხაზეთი და ცხინვალი ეს არის ტრავმა, რომელიც უნდა მოვიცილოთ,** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

ხელისუფლების შეფასებით, სერბეთში გაიმარჯვა ეროვნული ინტერესების დამცველმა ძალამ, ხოლო ქართული ოპოზიციის მცდელობა, მოირგოს სტუდენტური მოძრაობის მანტია, მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური სუსტის გადაფარვის მცდელობაა.

იხ. 5 გვ.

# გამორჩეული წვლილი ქართული მეცნიერების განვითარებაში

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი მილოცვა

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და აგრარიკოსი მეცნიერები გულითადად ვულოცავთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და მის წევრებს დაარსებიდან 85 წლისთავს, გამოვხატავთ ღრმა პატივისცემას ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში მათი გამორჩეული წვლილისადმი და თანადგომას ვუცხადებთ აკადემიას სამეცნიერო ტრადიციების განმტკიცების, ახალი მიღწევებისა და ქართული მეცნიერების შემდგომი წინსვლის გზაზე.**

განსაკუთრებული პატივისცემითა და სიამაყით აღვნიშნავთ ქართული მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერის – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავს. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი არა მხოლოდ განვლილი გზის შეჯამების, არამედ ქართული მეცნიერების ისტორიული მემკვიდრეობის გააზრებისა და მისი მომავალი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრის მნიშვნელოვანი საფუძველიცაა.

85 წელი მხოლოდ დროის მონაკვეთი არ არის – ეს არის ქართული მეცნიერების განვითარების, ინტელექტუალური შემოქმედებისა და ეროვნული სამეცნიერო პოტენციალის განმტკიცების მნიშვნელოვანი ისტორიული გზა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღირსეულად აგრძელებს იმ მრავალსაუკუნოვან საგანმანათლებლო და ინტელექტუალურ ტრადიციას, რომლის ფესვებიც ჩვენი ქვეყნის უძველეს კულტურულ და ცივილიზაციურ წარსულში, კოლხეთისა და იბერიის ისტორიულ სამყაროში იძებნება.

ამ დიდ ტრადიციას საუკუნეების განმავლობაში ქმნიდნენ და ამდიდრებდნენ ქართველი მოაზროვნეები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის სახელები, გელათისა და იყალთოს აკადემიები ქართული განათლების, ფილოსოფიური აზროვნებისა და ინტელექტუალური კულტურის იმ მაღალი ტრადიციის განუყოფელი ნაწილია, რომლითაც ჩვენი ქვეყანა სამართლიანად ამაყობს. ჩვენი წინაპრებისთვის ცოდნა მხოლოდ განათლების მიღების საშუალება არ ყოფილა – იგი ეროვნული თვითშეგნების, სულიერი და კულტურული განვითარების, საზოგადოებრივი წინსვლისა და ქვეყნის გაძლიერების უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენდა.

ამ ისტორიული მემკვიდრეობის ორგანულ გაგრძელებად XX საუკუნეში ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც თავისი არსებობის 85 წლის განმავლობაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერების განვითარებაში, ეროვნული სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განვითარებასა და საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენაში. აკადემიის ისტორია განუყოფლად უკავშირდება გამოჩენილ მეცნიერთა სახელებს, რომელთაც თავიანთი ცოდნა, ნიჭი, დაუღალავი შრომა და ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული მეცნიერებისა და სამშობლოს სამსახურს მიუძღვნეს.

აკადემიის მრავალმხრივი მიღწევები იმ მეცნიერთა და სამეცნიერო თაობათა თავდადებული საქმიანობის შედეგია, რომლებმაც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში იკისრეს ქართული მეცნიერების განვითარების პასუხისმგებლობა და შექმნეს მისი დღევანდელი წარმატებების მტკიცე საფუძველი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აკადემიის ხელმძღვანელთა ღვაწლი, რომელთა საქმიანობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი სამეცნიერო ავტორიტეტისა და ეროვნული მნიშვნელობის განმტკიცებაში. დღეს ამ მდიდარ მემკვიდრეობას აგრძელებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, რომლის მოღვაწეობაც ქართული სამეცნიერო ტრადიციების შენარჩუნებას, მათ სათანადო დაფასებასა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამის განვითარებას უკავშირდება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავი, უპირველეს ყოვლისა, არის პატივის მიგება იმ თაობათა წინაშე, რომლებმაც თავიანთი მეცნიერული მოღვაწეობით შექმნეს ქართული მეცნიერების მტკიცე საფუძველი, განამტკიცეს მისი საერთაშორისო ავტორიტეტი და ცოდნის განვითარება ეროვნული პროგრესის მნიშვნელოვან წინაპირობად აქციეს.

ამავე დროს, ეს ღირსშესანიშნავი თარიღი გვახსენებს პასუხისმგებლობას მომავალი თაობების წინაშე – შევინარჩუნოთ და გავამდიდროთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სამეცნიერო მემკვიდრეობა, ხელი შევუწყოთ ახალი ცოდნის შექმნას, ახალგაზრდა მეცნიერთა პროფესიულ განვითარებასა და სამეცნიერო სკოლების უწყვეტობას, რათა ქართულმა მეცნიერებამ ღირსეულად უპასუხოს თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებს და კვლავაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ინტელექტუალურ, ეკონომიკურ და კულტურულ წინსვლაში.

**დაე, საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ქართული ცოდნის, განათლებისა და მეცნიერული აზროვნების ტრადიცია მომავალ თაობებშიც უწყვეტად გაგრძელდეს; დაე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ კიდევ მრავალი ათწლეულის განმავლობაში ღირსეულად ატაროს ქართული მეცნიერების მაღალი ავტორიტეტისა და ეროვნული ინტელექტუალური ერთიანობის სიმბოლოს სახელი, ემსახუროს საქართველოს განვითარებასა და ქართული მეცნიერების საერთაშორისო აღიარებას.**



**გივი ჯაფარიძე,**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და აგრარიკოს მეცნიერთა სახელით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აქვეყნებს ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) და წევრ-კორესპონდენტთა ვაკანსიების დასაკავებლად რეგისტრირებულ კანდიდატთა სიას სპეციალობების მიხედვით:**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) ვაკანსიების დასაკავებლად რეგისტრირებული კანდიდატები**

| მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება | |
|---|---|
| სპეციალობა, ვაკანსია | აკადემიკოსობის კანდიდატები |
| მათემატიკა - 1 ვაკანსია | 1. **ფირაშვილი თეიმურაზ** - აკადემიის წევრ-კორესპონდენტი<br>2. **დუდუჩავა როლანდ** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი<br>3. **მესხი ალექსანდრე** - აკადემიის წევრ-კორესპონდენტი<br>4. **ვაშაყმაძე თამაზ** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი |
| **დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება** | |
| გეოლოგია - 1 ვაკანსია | 1. **მაღალაშვილი გიორგი** - გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი<br>2. **მაისაძე ფერანდო** - აკადემიის წევრ-კორესპონდენტი<br>3. **ფოფორაძე ნოდარ** - გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი<br>4. **ოქროსცვარიძე ავთანდილ** – გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი |
| **ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება** | |
| ბიოლოგია – 1 ვაკანსია | 1. **ლომთათიძე ზაურ** - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი<br>2. **ელისაშვილი ვლადიმერ** - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი<br>3. **ლეჟავა თეიმურაზ** - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი |
| **ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება** | |
| რადიოლოგია - 1 ვაკანსია | - **მიხეილ ოკუჯავა** - აკადემიის წევრ-კორესპონდენტი |
| **საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება** | |
| არქეოლოგია - 1 ვაკანსია | 1. **ლიჩელი ვახტანგ** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი<br>2. **ნარიმანიშვილი გოდერძი** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი |
| **ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება** | |
| ქართული ენა და ლიტერატურა - 1 ვაკანსია | 1. **მიშველაძე რევაზ** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი<br>2. **სულავა ნესტან** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი<br>3. **გოგოლაშვილი გიორგი** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი |
| **წევრ-კორესპონდენტთა ვაკანსიების დასაკავებლად რეგისტრირებული კანდიდატები** | |
| **საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება** | |
| სპეციალობა, ვაკანსია | წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები |
| საერთაშორისო ურთიერთობები - 1 ვაკანსია | 1. **აბაშიძე ზურაბ** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი<br>2. **კიკნაძე თამარ** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი |
| **სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება** | |
| მეღვინეობა - 1 ვაკანსია | 1. **აბზიანიძე დავით** - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი<br>2. **ჩხარტიშვილი ნინო** - ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი<br>3. **ხომასურიძე მარიამ** - ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი |

**უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან**

# რომელი საგარეო-პოლიტიკური კურსი უზრუნველყოფს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას?!

## პარტია „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ განცხადება

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ხუთი პოლიტიკური სუბიექტის არაკონსტიტუციურად ცნობის საკითხის განხილვის პარალელურად, სარჩელის ადრესატი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები საპარო სივრცეში სულ უფრო ხშირად ავრცელებენ ცრუ მოსაზრებას, თითქოს მათი აკრძალვით ქვეყანაში ერთპარტიული სისტემა ჩამოყალიბდება და საქართველოში სხვა პოლიტიკური ძალები აღარ იარსებებენ. რეალურად კი, პოლიტიკიდან მათი ჩამოშორება არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რათა გაჩნდნენ ახალი პარტიები და ჩამოყალიბდეს იმგვარი პოლიტიკური სისტემა, რომელშიც ჯანსაღი კონკურენცია იქნება შესაძლებელი, ნაცვლად დაპირისპირების იმ ფორმისა, რომელშიც ქვეყნის გარედან მართული ერთი ჯგუფი, მხოლოდ არჩეული ხელისუფლების დამხობაზეა ორიენტირებული.**

მიგვაჩნია, რომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში გადასაყვანად აუცილებელია მკაფიო ზღვრის გავლება კონსტიტუციით დაცულ პოლიტიკურ საქმიანობასა და იმ ქმედებებს შორის, რომლებიც მიმართულია კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, პარტია „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ დიდი ხანია, მოითხოვს იმ ძალების საქმიანობის სამართლებრივ შეფასებას, რომელთა მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარეობს პროცესი.

საზოგადოებამ იხილა უკანასკნელი წლების პოლიტიკური დაპირისპირებები, საპარლამენტო არჩევნების შედეგების არაღიარების შემთხვევები, სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ განვითარებული ძალადობრივი მოვლენები და ხელისუფლების არასაარჩევნო გზებით შეცვლის შესახებ გაკეთებული არაერთი მოწოდება, რაც იმას ადასტურებს, რომ სხვადასხვა პარტიად დაყოფილი აგენტურული ქსელის მიზანი არასოდეს ყოფილა არჩევნებში მონაწილეობა, საპარლამენტო საქმიანობის განხორციელება, მოსახლეობის პრობლემების მოგვარება და ეროვნული ინტერესების დაცვა, არამედ ყოველი არჩევნები მათ მიერ გამოყენებული იყო ხელოვნური კრიზისების შესაქმნელად, რომელთა შედეგად უნდა მომხდარიყო ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა.

2025 წელს ჩვენ მიერ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეტანილ მიმართვაში, დეტალურად აღვწერეთ, რომ აღნიშნული პროცესები ხორციელდებოდა საგარეო მხარდაჭერით, ორგანიზებითა და დაფინანსებით, რის საფუძველზეც მოვითხოვეთ ცალკეული პოლიტიკური ლიდერებისა და მათთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით კოორდინირებული კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის გამოძიება.



**ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას სჭირდება თვისებრივი ცვლილება და ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება აგენტურული ქსელის მოქმედებათა სამართლებრივი შეფასების გარეშე, რომელმაც 9 წლის განმავლობაში სახელმწიფო ძალაუფლების გამოყენებით მოკლა ასეულობით უდანაშაულო ადამიანი, შექმნა სისტემური წამების მანქანა, უხეშად შელახა ადამიანის ყველა ფუნდამენტური უფლება, სისხლში ჩაახშო მშვიდობიანი პროტესტი, დახურა ან დაიკვემდებარა დამოუკიდებელი მედიასაშუალებები, ქვეყანა გახვია დამანგრეველ ომში, ამ ყველაფრის შემოქმედები კი, უკვე 14 წელია, ოპოზიციიდან აგრძელებენ დანაშაულებრივ საქმიანობას და ქვეყანას არ აძლევენ დამშვიდების საშუალებას.**

მათ სრულად ჰქონდათ ოკუპირებული ოპოზიციური ველი და ცხადია ამ სტატუს კვოს შეცვლის გარეშე, ვერ ჩამოყალიბდება ნორმალური პოლიტიკური სისტემა და ვერ წარიმართება ჯანსაღი დისკუსია ისეთ საკითხებზე, რომლებზეც რეალურად უნდა მიმდინარეობდეს პარტიების კონკურენცია – როგორი უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოდელი? როგორ უნდა შეიცვალოს საგადასახადო სისტემა? რა პოლიტიკა უნდა გატარდეს სოციალური დაცვის, დემოგრაფიის, განათლების, რეგიონული განვითარების თუ სხვა მიმართულებების გაუმჯობესებისთვის? როგორ უნდა განისაზღვროს საქართველოს ადგილი ცვალებად საერთაშორისო წესრიგში და რომელი საგარეო პოლიტიკური კურსი უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას?

ეს არის საკითხები, რომლებზეც საზოგადოებას უნდა ჰქონდეს განსხვავებული პოლიტიკური ხედვების გაცნობის, შეფასების და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

სამწუხაროდ, ქვეყანაში ხელოვნურად შექმნილი პოლარიზაციის პირობებში ასეთი დისკუსია უკანა პლანზეა გადასული. პოლიტიკური სივრცე იმდენად არის დატვირთული ურთიერთბრალდებებითა და მუდმივი დაპირისპირებით, რომ ალტერნატიული პროგრამებისა და სახელმწიფოებრივი განვითარების განსხვავებული კონცეფციების განხილვისთვის სათანადო ადგილი თითქმის აღარ რჩება.

პოლიტიკური მრავალფეროვნება არ განისაზღვრება მხოლოდ პარტიების რაოდენობით. მისი მთავარი საზომია განსხვავებული იდეების არსებობა და საზოგადოებისთვის რეალური პოლიტიკური არჩევანის შეთავაზება.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს სჭირდება არა ორი დაპირისპირებული ბანაკის მუდმივი ურთიერთბრძოლა, არამედ ისეთი პოლიტიკური გარემო, სადაც პარტიები ერთმანეთს ქვეყნის განვითარების ხედვებითა და პროგრამებით გაუწევენ კონკურენციას.

**სწორედ ასეთ პოლიტიკურ გარემოში ხედავს საკუთარ ადგილს პარტია „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“, რომელიც ქვეყნის ნეიტრალიტეტის კონცეფციას განიხილავს არა მხოლოდ სამხედრო დაპირისპირებებში ჩართვისგან დაცვის მექანიზმად, არამედ საქართველოს უსაფრთხოების, დემოკრატიისა და საერთაშორისო ფუნქციის ახლებურად გააზრების საფუძვლად.**

**ჩვენ მზად ვართ საჯარო და საგნობრივი დისკუსიისთვის ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც აღიარებს საქართველოს კონსტიტუციურ წესრიგს, სახელმწიფოს სუვერენიტეტს და პოლიტიკური კონკურენციის დემოკრატიულ პრინციპებს.**

# სერბეთის არჩევნები, როგორც „ოპოზიციის ილუზია“

(მესამე გვერდიდან)

## „სერბეთის მაგალითის განმეორება გამორიცხულია“

**ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე** For.ge-თან ამბობს, რომ ოპოზიციის სიხარული გასაგებია, რადგან სერბეთში ხელისუფლება დამარცხდა. ამით მათ იმედი მიეცათ, რომ იქნებ მათაც რაღაც გამოუვიდეთ, თუმცა ისინი ვერ ხვდებიან, რომ სერბეთის ანალოგი საქართველოში ვერ განმეორდება და ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს.



**„ხელისუფლების არგუმენტები უფრო პოლიტიკურია და გასაგებია, თუმცა მე უფრო ფსიქოლოგიური ხასიათის განმარტებას გავაკეთებ და არგუმენტებს მოვიყვან, სერბეთის მაგალითი საქართველოზე რატომ არ გამოდგება. 2012 წელს, ქართველმა მოსახლეობამ მკაფიოდ გამოხატა თავისი დამოკიდებულება და უარი თქვა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებაზე. მას შემდეგ, ეს შემთხვევითი მოვლენა რომ არ იყო, არც ერთი პრეცედენტი არ მომხდარა 14 წლის განმავლობაში, რომ ადგილობრივ არჩევნებში, ერთი-ორი შემთხვევის გარდა, ოპოზიციას გაემარჯვა.**

**ეს დამოკიდებულება, რომ „არ გვინდა ეს ოპოზიცია“, ჩვენმა მოსახლეობამ თქვა როგორც არჩევნებით, ასევე სოციალური გამოკითხვებით. ეს ბოლო გამოკითხვებიდანაც კარგად გამოჩნდა. მოსახლეობას ამ ოპოზიციის უკან არდაბრუნების მცირე მოტივი აქვს. ამ ხნის განმავლობაშიც კი „ნაციონალური მოძრაობას“ არ შეუცვლია მოქმედების სტილი, აგრესიული პიარი და დღემდე ყველას ჰპირდებიან, რომ დაგიმახსოვრებთ და რომ მოვალთ ხელისუფლებაში, ანგარიშს გაგისწორებთო“,** – ამბობს ანალიტიკოსი.

მისივე თქმით, რაც მთავარია, მოქმედი პირები არ შეუცვლიათ. ოპოზიციაში იგივე ადამიანები არიან სხვადასხვა პარტიებში წინ წამოწეული, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობაში“ მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ.

**„ახლა დავაკვირდეთ, რა მოხდა სერბეთში. მათ მოძრაობას „სტუდენტური სია“ იმიტომ დაერქვა, რომ ადგნენ და ყველა შეკრებაზე სიების შედგენა დაიწყეს. მათ სია შეადგინეს იმათგან, ვინც ადრე პოლიტიკაში საერთოდ გარეულებიც კი არ ყოფილან – მეცნიერები, მეწარმეები, მეურვეები და ა.შ. ამ მოძრაობამ ახალგაზრდების, ფაქტობრივად, პოლიტიკური სპექტრი გამოცვალა და გაიმარჯვა. ჩვენი ოპოზიცია კი პოლიტიკურ სპექტრს არ ცვლის, იმის საწინააღმდეგოდ იქცევა, რაც გააკეთეს „სტუდენტური სიის“ ავტორებმა.**

**რატომღა უნდა გაიმარჯვონ? სერბეთში ახალგაზრდობამ აპოლიტიკური სიები გააკეთეს. ასე რომ, ძალიან საინტერესო ფაქტს ჰქონდა ადგილი, როცა პარტიის გარეშე მოიგეს. პოლიტიკაში მოხდა ახალი ორგანიზმის პოვნა და ახალი სისხლის გადასხმა. მათთან გაჩნდა არაპარტიული პოლიტიკური ორგანიზმი, რაც საქართველოს რეალობაში არ არსებობს. წავიდა რეპლიკები, ვითომ აქაც არსებობს წელიწადზე მეტია ასეთი სტიდენტური მოძრაობა და აქციებს გეგმავენ, ჩართულები არიან. თუმცა, აქაც დიდი განსხვავებაა – სერბეთში ახალგაზრდებმა თავისგან კი არ შეადგინეს სია, არამედ სხვადასხვა დარგიდან სპეციალისტები აარჩიეს“,** – ამბობს ანალიტიკოსი.

ლიკა გერიკაშვილი



# სოციალურ ქსელში ერთმანეთს აგიჟებენ!

## კახა კალაძე ტყუილს უწოდებს ინფორმაციას, თითქოს „რიყის დოქების“ მფლობელმა კომპანიამ სარეკრეაციო ზონის შეცვლის მოთხოვნით მიმართა თბილისის მერიას

**ტყუილია, ქალაქის მერიაში არანაირი მსგავსი პროექტი „რიყის დოქების“ მფლობელი კომპანიისგან არ შემოსულა,** – ასე გამოეხმაურა თბილისის მერი კახა კალაძე მედიასთან იურისტ ირაკლი აბესაძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს „რიყის დოქების“ მფლობელმა კომპანიამ სარეკრეაციო ზონის შეცვლის მოთხოვნით მიმართა თბილისის მერიას. მისივე განმარტებით, მშენებლობის ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ეს ქალაქის ურბანული განვითარებისთვის მისაღები იქნება.

**„თქვენ მხარდამჭერებს ატყუებთ. დამალული არაფერი არ იქნება. გავცემთ მშენებლობის ნებართვას, როდესაც შემოვა კონკრეტული პროექტი, რომელიც ქალაქის ურბანული განვითარების შესაბამისი იქნება. მანამდე ნუ ავრცელებთ ტყუილ ინფორმაციას. ეგ თქვენ გაზარალებთ. ეს არის ტყუილი, რასაც ერთდღიანი პიარკამპანიისთვის იყენებენ, იგონებენ რაღაცებს, სოციალურ ქსელებში ერთმანეთს აგიჟებენ და მერე თვითონვე იფუშებიან“,** – განაცხადა **პახა პალაძემ.**

# როგორ ცდილობდა გიორგი XI იერუსალიმის ქართული მონასტრების დახსნას

**XVII საუკუნეში მეფე გიორგი XI-ისა და ქართველი დიდებულების ძალისხმევით, იერუსალიმში ქართული მონასტრების ვალების დასაფარად 60 000 მარჩილი გამოიყო. თუმცა, მიუხედავად გაწეული ფინანსური ძალისხმევისა, სიწმინდეები ქართველთა მმართველობაში ვერ დაბრუნდა. ისტორიული დოკუმენტები ამ ნაკლებად ცნობილი ამბის საინტერესო დეტალებს გვიმხელს. ვის და როგორ დარჩა ქართველთა ფულით გამოსყიდული მონასტრები იერუსალიმში?**



ზურაბ შიოშვილი და გიორგი ჭოლოკავა იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქ თეოფილე III-თან

**ისტორიულ საბუთებში ზოგჯერ ისეთი ცნობები ინახება, რომლებიც მთელი ეპოქის მნიშვნელოვნებას სხვაგვარად დაგვანახვებს. XVII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული გიორგი XI-ის „პირობის წიგნი“ ეხება იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთან დადებულ შეთანხმებას, რომლის მიზანიც ქართული მონასტრების ვალების გასტუმრება და მათი დახსნა იყო.**

დოკუმენტს ხელს აწერდნენ არა მხოლოდ მეფე გიორგი XI, არამედ სამეფო ოჯახის წევრები, ქართლის კათოლიკოსი ნიკოლოზი, ეპისკოპოსები და სამეფოს გავლენიანი დიდებულები. ეს გარემოება აჩვენებს, რომ საქმე მხოლოდ ერთი ადამიანის გადაწყვეტილებას არ ეხებოდა – ქართული მონასტრების გამოსყიდვის საკითხში ჩართული იყო არამხოლოდ ქართლის პოლიტიკური და საეკლესიო ელიტა, არამედ მთელი მოსახლეობა.

პირობის წიგნში ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო ცნობა კონკრეტული თანხაა. გიორგი XI-ისა და ქართლის უმაღლესი სასულიერო და საერო პირების მიერ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსისადმი მიცემულ პირობის წიგნში დასახელებულია 60 000 მარჩილი – თანხა, რომელიც ქართული მონასტრების ვალების დასაფარად იყო განკუთვნილი: „რაც ვალი ჩვენს მონასტერს ემართა, სრულ ყველას გარდასაწყვეტლად მოგართვით სამოცი ათასი მარჩილი“.

მაგრამ დოკუმენტი ამით არ შემოიფარგლება. მასში აღწერილია გილანში აბრეშუმის შეძენა, იზმირში მისი გაყიდვა, თანხების გადაცემის პირობები და პატრიარქის პასუხისმგებლობა მონასტრების დახსნის საქმეში.

## აბრეშუმის გზა იერუსალიმისკენ

**გიორგი XI-ის პირობის წიგნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონაკვეთი აბრეშუმის ვაჭრობას ეხება. დოკუმენტის თანახმად, მეფის კაცები გილანში (ირანის პროვინცია) უნდა გამგზავრებულიყვნენ, რათა აბრეშუმი შეეძინათ. შემდეგ, ცხრა თვის ვადაში, მათ იზმირში უნდა ჩაეღწიათ და საქონელი გაეყიდათ. მიღებული თანხა კი ქართული მონასტრების დახსნას უნდა მოხმარებოდა.**

საბუთში იხსენიება ბურსა და სტამბოლიც – ოსმალეთის იმპერიის მნიშვნელოვანი სავაჭრო და პოლიტიკური ცენტრები. ეს დეტალები გვიჩვენებს, რომ მონასტრების საკითხის მოსაგვარებლად მოქმედება დიდ მანძილზე იყო გადაჭიმული და სხვადასხვა ქალაქში მყოფ ადამიანთა თანამშრომლობას მოითხოვდა. ამრიგად, იერუსალიმში ქართული მონასტრების ბედი გილანის აბრეშუმის ბაზარსა და იზმირის სავაჭრო სივრცესაც უკავშირდებოდა. მონასტრების დახსნის მცდელობა მხოლოდ საეკლესიო მოლაპარაკება არ იყო – იგი ეკონომიკურ რესურსებსა და შორეულ სავაჭრო კავშირებსაც ეყრდნობოდა. პირობის წიგნში აბრეშუმის გაყიდვის გარდა სხვა თანხებიც არის მოხსენიებული.

**დოკუმენტის თანახმად, პაპუას იზმირში უნდა ჰქონოდა ცამეტი ათასი ასლანი. როდესაც პატრიარქი გურსაში ან სტამბოლში გაემგზავრებოდა, ეს თანხა მისთვის უნდა გადაეცათ. ასევე ნახსენებია პაპა დანიელისთვის გადასაცემი თანხა, რომელიც მარიამოზის თვის გასვლის შემდეგ უნდა მიეწოდებინათ.**

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ფინანსური შეთანხმება რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. თანხები სხვადასხვა ადგილას იყო განაწილებული, მათი გადაცემა კი კონკრეტულ პირობებსა და ვადებს უკავშირდებოდა.

დოკუმენტი ასევე ითვალისწინებდა შემთხვევას, თუ აბრეშუმის გაყიდვით მიღებული თანხა წინასწარ შეთანხმებულ ფასს ვერ მიაღწევდა. ასეთ შემთხვევაში პატრიარქს წერილობით უნდა ეცნობებინა დანაკლისის შესახებ, რათა ქართულ მხარეს დარჩენილი თანხა შეევსო.

ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: პირობის წიგნი არა მხოლოდ ფულის გადაცემას, არამედ ფინანსური ანგარიშგებისა და შეთანხმების შესრულების წესსაც განსაზღვრავდა.

## რატომ იყო აუცილებელი პატრიარქ დოსითეოსის მონაწილეობა?

**პირობის წიგნში გიორგი XI განსაკუთრებულად აღნიშნავს პატრიარქის ძალისხმევას. მეფის სიტყვებიდან ჩანს, რომ დოსითეოსმა ქართული მონასტრების საკითხის მოსაგვარებლად დიდი შრომა გასწია და მნიშვნელოვანი სირთულეები გადაიტანა.**

მეფე მას მიმართავს, როგორც სულიერ მამას, და მოელის, რომ პატრიარქი თავის მხრივ ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს და მონასტრების დახსნას ბოლომდე მიიყვანს.

დოკუმენტის დასასრულს გიორგი XI პირდაპირ აცხადებს, რომ გარიგებისა და მონასტრების გამოხსნის საქმე პატრიარქზეა დამოკიდებული. სანაცვლოდ კი თავადაც გამოთქვამს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი თავი და მამული საერთო საქმისთვის არ დაიშუროს.

ეს სიტყვები გვიჩვენებს ურთიერთვალდებულებას: საქართველოს სამეფო კარი იღებდა ფინანსურ ვალდებულებას, ხოლო პატრიარქს მონასტრების დახსნის საქმის დასრულება ევალებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა ერთი შეხედვით ყველაზე მთავარი საკითხი – ფინანსური ვალდებულებების შესრულება შეძლეს, რაც იმდროინდელი საქართველოსთვის საკმაოდ რთული ამოცანა იყო, პატრიარქ დოსითეოსთან მიმოწერებიდან ირკვევა რომ ქართულ მხარეს




დაბრუნებული მონასტრების მართვისა და გამგებლობის მკაფიო გეგმა არ ჰქონდა. ქართველები ვალებს იხდიდნენ და, წესით, გამოსყიდული მონასტრები მათ უნდა დაბრუნებოდათ, თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოდან ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ იდგმებოდა. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია დოსითეოსის წერილი, რომელშიც იგი საქართველოს კათოლიკოსს სთხოვს, ერთი ბერძნულის მცოდნე ბიჭი მაინც გამოგვიგზავნეთ, რომ თქვენი წერილების წაკითხვა მაინც შევძლოთო.

მთელი ეს სურათი საკმაოდ უცნაურად გამოიყურება. ქართველები სახელმწიფოდან უკანასკნელ გროშებს აგროვებენ მონასტრების გამოსასყიდად, მაგრამ არსად არ ჩანს რაიმე ქმედება ამ მონასტრების ისევ ქართველთა მფლობელობაში დაბრუნებისათვის. საბოლოო ჯამში ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პატრიარქი დოსითეოსი ქართველების ფულით გამოსყიდულ ეკლესია-მონასტრებს იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს იურისდიქციას დაუქვემდებარებს. ამრიგად ქართველთა ფულით გამოსყიდული ქონება ხდება იერუსალიმის ბერძნული საპატრირქოს საკუთრება. აქვე დავაკონკრეტებთ, რომ გარდა იმ ეკლესია-მონასტრებისა ,რომელიც საბერძნეთის ეკლესიას დარჩა, ქართველებს ჰქონდათ კიდევ მრავალი სხვა მნიშვნელოვანი მონასტერი, რომლებიც ასევე დარჩათ სომხებს, ლათინებს და სხვა კონფესიებს. ალბათ ასეთი უცნაური ისტორია ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიო ისტორიაში – ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნიდან, არათუ იერუსალიმის მაშენებლები, არამედ „წმინდა მიწის“ იდეის შემქნელები იყვნენ ქართველები – დღეს კი მათ წმინდა მიწაზე ჩასვლა და იმ ადგილების მონახულებაც კი უჭირთ, სადაც მათი წინაპრების კვალი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა.

***„პირობის წიგნი გიორგი XI-ისა ნიკოლოზ კათალიკოზისა და ქართლის ეპისკოპოზ-დარგაისელთა იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსისადმი ქართული მონასტრების დახსნის თაობაზე [1678-1688 წწ]“ ქ. წყალობითა ღმრთისათა, ჩუენ მეფემა გიორგი და ძემან ჩუენმა გაგრატ და ძმამა ჩუენმა ლევან და ძმამა ჩუენმა სულეიმან და ქართლისა კათოლიკოზმა ნიკოლოზ,გატონისშვილმა თეიმურაზ და გატონისშვილმა აზოთან, ამილახორმა გივმა და პაპუნაზეგ და დიანგზეგმა ვახტანგ, ერისთავმა დავით და ერისთავის შვილმა იასონ, მთავარეფისკოპოზმა ნიკოლოზ, თბილელ ეფისკოპოზმა იოსებ,მანგლელმა, მროელმა და სრულად ჩუენის საგატონოს ეფისკოპოზთა და დარგაისელთა, დიდმა და ცოტამ;**

**რადგან ინება ღმერთმა და ამდონი წყალობა გვიყო, ჩუენის მონასტრის დახსნა მოინდომეთ და მოგრძანდით თქუენ ჩუენის მამის ალაგს მისაჩენელი გატონი პატრიარქი დოსითეოს და ჩუენც დიდად თავს შევიდევით და ჩუენ ძმათა და ეფისკოპოზთა და დარგაისელთა, დიდთა და ცოტათა,დიდი სასჯელი ქმნა ჩუენთვის, ვითარცა მამამ შვილთმოყვარემ;**

**რადგან თქუენ ჩუენთვის და ჩუენისა მონასტრის გულისათვის ამდონს გაისაჯენით, ჩუენც თქუენი ბძანება გავათავეთ და რაც ვალი ჩვენს მონასტერს ემართა, სრულ ყველას გარდასაწყვეტლად მოგართვით სამოცი ათასი მარჩილი და გავგზავნეთ ჩუენი კაცები გილანს, აბრაშუმი უნდა იყიდონ და ცხრას თვეში უნდა იზმირს მივიდნენ; და როდისაც გაყიდონ აბრაშუმი, ფასი გატონმა პატრიარქმა უნდა გამოართვას თურამეტი ათასი ოთხასი და ორმოცი. და კიდევ აქუს პაპუასა იზმირს ცამეტი ათასი ასლანი;**

**როდისაც გატონი პატრიარქი მიგზრძანდეს ან გურსას და ან სტამბოლს, უნდა მიართოას პაპუამ ის თეთრი გაურჯელად.**

**კიდევ მარიამოზის თვეს გასულსა უნდა მივართოთ პაპა დანიელს ოთხი ათასი ექვსასი და სამოცი და სამი მარჩილი. აღებული რაც იყო, პატრიარქმა წაიღო ან იარაღი, ამისი ანგარიშით სულ სამოცი ათასი მარჩილი ქართლიდამე უნდა პატრიარქმა ამითი მონასტრები დაიხსნას.**

**აწე ღმრთის შეწევნითა უნდა რომე, მოეჯიროს პატრიარქმა და კიდეც უნდა დაიხსნას მონასტრები, რაც ვალები იყოს და რაც ან გილანს გაგვიგზავნია, ან რაც იზმირს არის, ეს ყველა უკლებლივ გატონს პატრიარქს მიეგაროს ამ ჩუენის კაცებისაგან, რომელსაც ალაგს პატრიარქი შეეყაროს, იქ უნდა მიართვას; და მარიამოზის თვეს გასულსა, რომელიც დარჩა თეთრი, პაპა დანიელს მივაგაროთ და ერთი კაცი ჭკვიანი თან გავატანოთ, რომ არა დაამარცხონ რა.**

**და რაც ღირებული მივართვით პატრიარქსა, თუ სტამბოლს ჩუენ რომ დავაგარეთ, თუ იმ ფასად არ გაუყიდეს,რომელიც დააკლდეს და პატრიარქმა წიგნი მოგუნეროს, მივართვათ რაც ნაკლები მოვიდეს, ჩუენგან დაგარებულზე არა დავაკლოთ. და რადგან დაისაჯა პატრიარქი ჩუენის გულისათვის და საქართველოს გულისათვის და თავის მადლისა ღმრთისა გულისათვის და დიდი ჭირი ნახა, ჩუენც ამას მოველით, რომ თავისი გარჯა და პირობა გავითაოს და ეს საქმე აღგვისრულოს; და ჩუენცა ჩუენი თავი და მამული თქუენად საკეთოდ არ დავზოგოთ და თქუენზეც ჩუენც სიკეთეს ვეცადოთ; და გარიგება და გამოხსნა თქუენზედ ჰკიდია.**

**და ეს პირი და წიგნი ვჰკადრეთ ჩუენს მლოცველსა და მამის ალაგს მისაჩენელსა, გატონს პატრიარქსა.**

**ამის მოწამე პაპა ნიკოლოზ და პაპა დანიელი.“**

**წყარო: დედოფალი.** ***პრაიმტაიმი***

*„დედოფალი – სიხარულის მომნიჭებელი“ – ეს არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი „დედოფალი“, რომელიც თბილისში, ერთ-ერთ უბანში, ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლშია დაბრძანებული. მას ორი ახალგაზრდა მცველი ჰყავს – რეჟისორი ზურაბ შიოშვილი და მუსიკოსი გიორგი ჭოლოკავა. ხატი აბსოლუტური ანალოგია ივერიონში დაბრძანებული დედა ხატის – ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, რომელსაც „პორტაიტისა“ ეწოდება.*

*ხატისმცველები – გიორგი ჭოლოკავა და ზურაბ შიოშვილი ასევე ცნობილები არიან თავიანთი მრავალწლიანი კვლევებითა და პროექტებით, მათ შორის ისტორიული და სულიერი მნიშვნელობის ადგილების ძიებით (მათი ნაშრომები ეხება ისეთ თემებს, როგორიცაა „ქართული იერუსალიმი“ და ისტორიული ძეგლები). ისინი ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა მედიაპლატფორმასა და გადაცემას თავიანთი აღმოჩენებისა და ხატის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის გასაცნობად.*

# ცოდნის, გამოცდილებისა და მეცნიერული ღვაწლის გზა



## აკადემიკოსი რევაზ ასათიანი – 75

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს გამოჩენილ მეცნიერსა და პედაგოგს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, აკადემიკოს რევაზ ასათიანს დაბადებიდან 75-ე და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50-ე წლისთავს.**

**რევაზ ასათიანი** დაიბადა 1951 წლის 29 ოქტომბერს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1973 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტი, რამაც საფუძველი ჩაუყარა მის შემდგომ პროფესიულ განვითარებასა და მრავალმხრივ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას.

პროფესიული კარიერის განმავლობაში იგი მუშაობდა ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. მოგვიანებით, საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში წარმატებით განაგრძო აკადემიური და ადმინისტრაციული საქმიანობა. სხვადასხვა პერიოდში იკავებდა ასისტენტის, დოცენტის, პროფესორის, აგრობიზნესის მენეჯმენტის კათედრის გამგისა და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობებს. ამ პოზიციებზე მისი საქმიანობა მოიცავდა, როგორც სასწავლო და სამეცნიერო პროცესების წარმართვას, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობას.

აგრარულ უნივერსიტეტში მოღვაწობის პერიოდში მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა და მოპოვებულ იქნა ორი საგრანტო პროექტი, რომელთა განხორციელების შედეგად: ა) ევრაზიის ფონდის დაფინანსებით შეიქმნა საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი 2 ახალი სასწავლო კურსი, შესაბამისი ახალი სასწავლო პროგრამებით და სასწავლო გეგმით, შეიქმნა IT ლაბორატორია კომპიუტერებით, პრინტერით, სადაზღვევო ელექტროკვებით, ელფოსტით და სხვა საჭირო ტექნიკით; ბ) ბრიტანეთის მთავრობის დაფინანსებით ედინბურგის (შოტლანდია) უნივერსიტეტთან ერთად სასწავლო პროცესის მენეჯმენტში ახალი ტექნოლოგიების და ცოდნის დანერგვის მიზნით სხვადასხვა მაპროფილებელი კათედრის 8 თანამშრომელი გაემგზავრა და ადგილზე გაეცნო ედინბურგის უნივერსიტეტში სასწავლო-სამეცნიერო პროცესის, კვლევის შედეგების გავრცელება-დანერგვის ორგანიზაციას, შეიქმნა და აღიჭურვა 2 საკლასო მრავალი სპეციალური სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით, ბუკლეტებით, ტრიპლეტებით.

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მუშაობის პერიოდში პირადად მისი მონაწილეობით მოხდა ჯერ ამ ფონდის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ორგანიზაციულ-პროგრამული მექანიზმის, ხოლო შემდეგ კი ყველა სახელმწიფო პროგრამის (ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების, ახალგაზრდა მეცნიერების, დოქტორანტების, მაგისტრების, სამეცნიერო კონფერენციების, სამეცნიერო მივლინებების....) შექმნა იმ სამეცნიერო დეპარტამენტში, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა. ასეთი ფონდის ჩამოყალიბებამ საშუალება მისცა არამარტო აგრარული მეცნიერებების, არამედ ახლა უკვე ქართველოლოგიის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ტელეკომუნიკაციების, სიცოცხლის შემსწავლელი, მათემატიკის, მექანიკის, საბუნებისმეტყველო, დედამიწისა და გარემოს შემსწავლელი, სამედიცინო, საინჟინრო, მაღალტექნოლოგიური მასალების მეცნიერებების ათასობით როგორც ძველი, ასევე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელს ესარგებლათ თავიანთი კვლევების რეალიზაციით.

რევაზ ასათიანის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა აგრარული სექტორის მართვის განვითარება. იგი გახლდათ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ დირექტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე. სააგენტოში მუშაობისას მისი პირადი მონაწილეობით შემუშავდა და განხორციელდა პროექტი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები, შეიქმნა კვების მრეწველობაში მოღვაწე მეცნიერთა ბაზა, ხოლო სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ მუშაობისას მისი უშუალო კურატორობით მომზადდა ექსტენციის სახელმწიფო სტრატეგია, რომლის საინფორმაციო-საკონსულტაციო პაკეტებს საფუძვლად დაედო სხვადასხვა სპეციალობის აგრარიკოს მეცნიერთა რეკომენდაციები, როგორც მემცენარეობის, ასევე მეცხოველეობის დარგებში. კოლეგა აგრარიკოს-მეცნიერთა თანამშრომლობით გაანალიზებულ და შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები მიწის რესურსების, მანქანა-ტრაქტორთა პარკის, საძოვრების რაციონალურად გამოყენების წინადადებები, მეცხოველეობის რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამა და სხვა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აკადემიკოს რევაზ ასათიანის მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი ლექციებს კითხულობდა საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში, მცირე ბიზნესის აკადემიაში, აგრობიზნესის მართვის უმაღლეს სკოლასა და საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. ამასთანავე, მონაწილეობდა TACIS-ის, KHF-ის, MCOR-ის, მსოფლიო ბანკისა და სხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სასწავლო სემინარებში. მისი სალექციო კურსები მოიცავდა ეკონომიკისა და მართვის პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მრავალ მიმართულებას: მენეჯმენტის საფუძვლებს, აგრობიზნესის მენეჯმენტსა და მარკეტინგს, მართვის ავტომატიზებულ სისტემებს, საგრანტო და საინვესტიციო პროექტების მომზადებასა და განხორციელებას, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებასა და გარემოს დაცვის ეკონომიკას. ამ მიმართულებებით მიღებული ცოდნა და გამოცდილება მნიშვნელოვანი იყო როგორც მომავალი სპეციალისტების პროფესიული მომზადებისთვის, ისე მოქმედი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების განვითარებისათვის.

რევაზ ასათიანის პროფესიული ინტერესები არასოდეს შემოფარგლულა მხოლოდ აკადემიური სივრცით. იგი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის – ევრაზიის ფონდი, KHF, TACIS, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), მსოფლიო ბანკი (WB) მიერ დაფინანსებულ პროექტებში. აღნიშნულ პროექტებში მისი უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავდა და განხორციელდა საკონკურსო გრანტების სისტემის ფუნქციონირების პროცედურები, რის შედეგადაც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ისარგებლა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში არსებულმა თითქმის ყველა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა თავიანთი საცდელი მეურნეობებითა და სადგურებით, რითაც გაიუმჯობესეს თავიანთი სამეცნიერო-კვლევითი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამავე პერიოდში მისი აქტიური მონაწილეობით იქნა შერჩეული და მსოფლიო ბანკის მიერ დასაფინანსებლად წარდგენილი აკადემიის სისტემაში არსებული მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, როგორც პილოტ ობიექტი, მისი რეფორმის კონსოლიდირებული და ძირეული რეორგანიზაცია-მოდერნიზაციის გეგმა ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუციებთან ინტეგრირებისთვის.

რევაზ ასათიანი ამჟამად არის შპს საქართველოს მელიორაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და აგრძელებს მუშაობას მელიორაციის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაზე. იგი ასევე დღემდე იკავებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის თანამდებობას. აღნიშნული საქმიანობა ნათლად წარმოაჩენს მის პროფესიულ მრავალმხრივობასა და სამეცნიერო ცოდნის, მმართველობითი გამოცდილებისა და პრაქტიკული საქმიანობის ურთიერთშერწყმის უნარს.

რევაზ ასათიანი არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი (2004 წლიდან). იგი ასევე საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის (1996 წლიდან) და აგრარული განათლების საერთაშორისო აკადემიის (2000 წლიდან) ნამდვილი წევრია, ხოლო 2025 წელს აირჩიეს ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების მმართველთა კომიტეტის წევრად. მისი სამეცნიერო სტატუსები და პროფესიული აღიარება მრავალწლიანი, თანმიმდევრული მოღვაწეობისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილის დასტურია.

აკადემიკოს რევაზ ასათიანის სამეცნიერო ნაშრომები მოიცავს აგროსასურსათო სექტორის ეკონომიკის, მენეჯმენტის, აგრობიზნესის, მარკეტინგისა და მართვის პრაქტიკული საკითხების ფართო სპექტრს. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 100-მდე სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომი, მათ შორის – ოთხი სახელმძღვანელო და რვა მონოგრაფია. აღნიშნული პუბლიკაციები ასახავს მის მრავალწლიან კვლევით ინტერესებსა და მისწრაფებას, სამეცნიერო ცოდნა როგორც აკადემიური წრეებისათვის, ისე პრაქტიკოსი სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი და გამოყენებადი გახადოს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წვლილი ახალგაზრდა თაობის სპეციალისტებისა და მეცნიერების აღზრდაში. რევაზ ასათიანის ხელმძღვანელობით მომზადებულია 100-ზე მეტი სპეციალისტი, ბაკალავრი და მაგისტრი, აგრეთვე რვა მეცნიერებათა კანდიდატი. ამასთანავე, მან ექსპერტიზა გაუწია ათასამდე პირველად და ძირითად საგრანტო პროექტს, ოპონირება გაუწია 50-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციას.

რევაზ ასათიანს მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ ოცამდე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში, სამუშაო შეხვედრასა და სასწავლო ტურში. იგი პრაქტიკულად გაეცნო ოკლაჰომოსა და ნებრასკის სახელმწიფო უნივერსიტეტებისა (აშშ) და ედინბურგის (შოტლანდია) უნივერსიტეტის, აგრეთვე მოლტონის (ინგლისი) კოლეჯის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

რევაზ ასათიანის მრავალწლიანი საქმიანობა სათანადოდ იქნა დაფასებული სახელმწიფოს მიერ. სასწავლო და სამეცნიერო სფეროში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის იგი 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

აღსანიშნავია, რომ მისი სამეცნიერო ღვაწლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღიარება იყო 2025 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ სამეცნიერო კონკურსში მიღწეული წარმატება – აკადემიკოს რევაზ ასათიანის ნაშრომს (თანაავტორობით) მიენიჭა პროფესორ ივანე ჯაშის სახელობის აკადემიური პრემია. ეს ჯილდო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მისი სამეცნიერო საქმიანობის მნიშვნელობასა და კვლევითი მუშაობის გაგრძელების აქტუალობას.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს აკადემიკოს რევაზ ასათიანს დაბადებიდან 75-ე და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50-ე წლისთავს! უსურვებს ჯანმრთელობას, მხნეობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ოჯახურ კეთილდღეობასა და შემოქმედებით ენერგიას.**

# როდის გამოვფხიზლდებით?!



სულ ახლახან ახალი სასწავლო წელი დაიწყო ქვეყნის ზოგად- საგანმანათლებლო სკოლებში, უმაღლეს და სხვა სასწავლო დაწესებულებებში. თუმცა დიდი გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ ჩვენი სკოლების საკლასო ოთახები და ეზოები ისე აღარ ხმაურობენ, როგორც ეს რამდენიმე ათეული წლის წინ იყო. ჩვენდა სავალალოდ, მარტო ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების საკლასო ოთახების კარები მხოლოდ ასმა პირველკლასელმა მოსწავლემ შეაღო, მხოლოდ ასმა ბავშვმა!

რამდენიმე წლის წინათ დავინტერესდი და გავაკეთე ასპინძის რაიონში შობადობის ყოველწლიური დინამიკა. გულს უხაროდა, რომ 1977-1987 წლების შობადობის მაჩვენებელი დღითი დღე იზრდებოდა, თუ 1977 წელს რაიონში შობადობა მხოლოდ 178-ს შეადგენდა, 1987 წელს 350-ს აჭარბებდა. იგი კიდევ უფრო გაიზარდა 1988-1991 წლებში, როდესაც მრავალშვილიანობა თითქმის ტრადიციად იქცა და დინამიური ზრდაც სახეზე იყო, რაზეც, ცხადია, განსაკუთრებული გავლენა, უპირველესად, ეროვნულმა მოძრაობამ და მოსახლეობაში პატრიოტული სულისკვეთების გაზრდამ მოახდინა.

**მაგრამ...**

მაგრამ, კაცი გჭობდა და ღმერთი იცინოდაო, დრომ სხვა რეალობის წინაშე დაგვაყენა. ბევრმა ხალხის გაჭირვების ხარჯზე მოითბო ხელი, საზოგადოების ერთი ნაწილი ურა პატრიოტებად იქცა და... სხვისი ჭირი ღობის ჩხირად გავიხადეთ, ოღონდ ჩვენ ვყოფილიყავით კარგად და საკუთარ შეში ჩავიკეტეთ, ყველაფერი სხვას გადავაბრალეთ, დავკარგეთ პასუხისმგებლობის გრძნობა, გურამიშვილისა არ იყოს ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა ცხოვრების ყოველდღიურ ნორმად ვაქციეთ, ჩვენ თვითონვე შევუწყვეთ ხელი ქურდული ავტორიტეტის მატარებელ ელიტას და ქვეყნის სათავეში კანონიერი ქურდიც კი მოვიყვანეთ. მათ კი, ვინც პირველი ეროვნული ხელისუფლება დაამხო, თავისუფლებასა და დემოკრატიას რომ გვპირდებოდა, ზოგი მოსკოვში გაიქცა, ზოგი ჰელსინკში და შაოხარ გზირს სამუდამო განსასვენებლი მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მივუჩინეთ.

**...რა მივიღეთ სამაგიეროდ? ჩინიანმა და უჩინომ დაკარგა საკუთარი პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე, სულით ხორცამდე სიყვარულით გამთბარი ოჯახების გაციებული კერები, დანგრეული ოჯახები, გედის ანაბარად მიტოვებული შვილები, ერი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს...ღვთის ანაბარად დავტოვეთ ჩვენი ქვეყანა.**

**უცხოეთში გადახვეწილმა ჩვენმა ახალგაზრდა დედების ერთმა ნაწილმა დაივიწყა მშობლის უპირველესი მოვალეობა შვილების აღზრდა, გაცივდა დედაშვილობის უფაქიზესი გრძნობა, გავაუცხოვეთ საპუთარი სისხლისა და ხორცის მიმართ ტრადიციული, საუკუნოვანი ურთიერთობები, და ამ დროს, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული...**

კარგია ცხრა მთის იქიდან ქადაგება, თუ რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, აქ, საკუთარ სამშობლოში დარჩენილებმა, როგორ უნდა ავაღორძინოთ ჩვენი ქვეყანა. ჭკუის სწავლება ყველამ ისწავლა, კრიტიკა იცოცხლე, ბოგანოსაც შეუძლია, მაგრამ ქვეყნის აშენების, განვითარების გზების ძიება კი ნაკლებად ძალუძთ.

ერთმა ჩვენმა პატივსაცემმა მოძღვარმა დიდებულად ბრძანა: ჩვენი შვილები არამარტო თანატოლი ბავშვების, არამედ ზრდასრული ადამიანების გვერდით უნდა იზრდებოდნენ, რათა მიბაძონ, მეტი კარგი მაგალითი აიღონ მათგან, რომ ქვეყნის პატრიოტებად, ქვეყნის მშენებლებად და მოსიყვარულეებად აღიზარდონო. ვერაფერს დაამატებ! ბავშვი მარტო ბავშვურ გარემოში აღზრდილი დიდ ბავშვად რჩება, ცხოვრების ავ-კარგი საზოგადოებაში უნდა ისწავლოს. ლამაზი შვილის აღმზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა ბრძანებს დიდი ვაჟა. და მართლაც, მარტო შვილის გაჩენა კი არა, შვილის აღზრდაა მთავარი.

ქართული გენი, ქართული სული თუ არ იტრიალებს ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოში, უკვე არა თუ შესამჩნევი, სულ მალე საგანგაშო გახდება ჯერ ჩვენი დემოგრაფიული მდგომარეობა და მერე, საუგედუროდ, ერი სამუდამოდ დაკარგავს თავის ფუნქციას... სა-ქართ-ველო დაკარგავს ქართ-ის ცნებას და სა – ვის-ო გახდება, ღმერთმა უწყის. ვისთვისღა გვინდა მაშინ ეკონომიკურად ძლიერი, აშენებულ-დამშვენებული ქვეყანა თუ ქართული გენი გადაშენდება?

**ჯერ კიდევ როდის შემოგვძახეს გამოფხიზლდით ქართველებო! მაგრამ სიფხიზლის ნატამალიც აღარ შემოგვრჩა. ჩვენი გედი ჩვენს ხელთაა, მაგრამ...**

მჯერა, ყველაფერს ეშველება ეკონომიკაც უფრო განვითარდება, სოფელ-ქალაქიც დამშვენდება, მაგრამ ვის და რის ხარჯზე?...

**ამას წინათ ერთი ჩემი დიდი ხნის მეგობარი, მესხეთზე უსაზღვროდ შეყვარებული, ცნობილი მხცოვანი მეცნიერი, შემომეხმიანა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობით დაინტერესდა. 16000-მდე ვართ-მეთქი, ვიცრუე. გაუკვირდა და გული დაწყდა უფრო მეტი მეგონეთო და... 2024 წლის სახელმწიფო აღწერის მასალებს რომ გავეცანი, უფრო გავოგნდი... თუმცა, რატომ უნდა გამკვირვებოდა, მე, ასპინძელს კაცს, როცა ყოველდღე თვალნათლივ ვხედავ გამოკეტილ ოდასახლეებს, მიტოვებულ, დაუმუშავებელ გაღჩა-ყანებს და... ვაგლახ, როგორ მინავლდა, თუნდაც ჩვენს დაგაში, შესანიშნავ, დიდი რუდუნებით აშენებულ-დამშვენებულ კულტურისა და დასვენების პარკში გავშვების ჟრიამული!!!**

ძველებისგან ხშირად მესმოდა არც გზა გვაქვს, არც ქუჩების განათება, მინგრეულ-მონგრეულ ორმოებით გადავსებულ, ატალახებულ, უშუქო ქუჩებში კაცი კისერს წაიმტვრევსო, მიზეზ-მიზეზ და ამიტომ გარბის ახალგაზრდობა აქედანო, მაგრამ დღეს ხომ ცხოვრების პირობები გაცილებით უკეთესია, ერთი ასად გაუმჯობესდა ყველაფერი, გზა გზას დაემგვანა, ქუჩა ქუჩას, ორღობეებში აღარ გვიხდება უკუნ ღამეში სიარული და, რა მერე?..

დღეს სწორედ ესაა მთავარი პრობლემა და არა ქუჩა-ქუჩა, აღმა-დაღმა ტრიალ-წრიალი, ყოველდღიური მიტინგობანა. უპირველესად ამ საკითხზე არა მარტო ხელისუფლებისგან გვმართებს განსაკუთრებული ზრუნვა, არამედ თითოეული ჩვენგანის ვალია დემოგრაფიაზე ფიქრი, სჯა-ბაასი; ყოველი წუთი, საათი, დღეები, კვირები, თვეები გვმართებს ამ პრობლემაზე მუშაობა, როგორ გადავარჩინოთ ქართველი ერი დემოგრაფიულ კატასტროფას!!!

**მივმართავ საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, ამ ეტაპზე, პირველ რიგში, ხომ არ აპოგეს, აღვადგინოთ დემოგრაფიის დეპარტამენტი, სადაც პირველ რიგში მხოლოდ და მხოლოდ ამ პრობლემის გზების ძიებით დაკავდებიან.**

მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ ბევრი ადამიანია საქართველოში, რომლებსაც ძალუძთ ამ პრობლემის გამკლავებაში თავისი ჭეშმარიტი სიტყვა თქვან, რომელთა ცხოვრებაში გატარება, შესაძლოა, ბევრი პრობლემის გადაწყვეტის საწინდარიც გახდეს.

**მარტო ცუდი ეკონომიური პრობლემები არაა განსაზღვრელი ჩვენი უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობისა. ან კიდევ, ნურავინ დაიჯერებს, რომ უცხოეთში სამუშაოდ მხოლოდ ცუდი საცხოვრებელი პირობების გამო მიდიან! მიმოიხედეთ ირგვლივ და ამაში თავად დარწმუნდებით! ნათქვამია ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო და პირველ რიგში სამოგადოების გაჯანსაღება, ჩვენი მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაა საჭირო. განათლების რეფორმაც კი, პირველ რიგში, აქედან უნდა დაგვეწყო, მაგრამ დღეს ვის ძალუძს ამ მისიის შესრულება?! ისევ დიდი ილიას სიტყვებით დავამთავრებ: სადა ხარ ღმერთო, შენი შექმნილი ქვეყანა რომ ხელიდან მიდის! გზა-კვალი არ ჩანს, კაცი არ ჩანს გამდები ხიდის!**



**ავთანდილ ბერიძე,**
გაგეთ ლიტერატურული მესხეთის რედაქტორი

## შოთა ბერეკაშვილი: ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების უკეთ მოწყობა ეკონომიკურ მოგებას მოგვიტანს!




პარლამენტმა ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი და მისგან გამომდინარე ცვლილებების პროექტი პირველი მოსმენით განიხილა.

საკანონმდებლო ინიციატივის ერთ-ერთი ავტორის, პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის **შოთა ბერეკაშვილის** განცხადებით, კანონპროექტი საერთაშორისო აზარტული ტურნირების ორგანიზების რეგულირებას ეხება და ტურნირების მოწყობის საკითხებს განსაზღვრავს.

**კანონპროექტის თანახმად, საერთაშორისო აზარტული ტურნირი განისაზღვრება როგორც თამაშობა, რომელსაც სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი ატარებს და სადაც მონაწილეთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 70% უცხო ქვეყნის მოქალაქეს წარმოადგენს. კანონპროექტით დგინდება, რომ ორგანიზატორი კლუბის მაგიდას მხოლოდ საერთაშორისო ტურნირის ჩატარებისთვის თუ იყენებს და ტურნირის საპრიზო ფონდი 3 მილიონ ლარს აღემატება, ორგანიზატორი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს არ გადაიხდის.**


**კანონპროექტით დგინდება შესაბამისი პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევის შემთხვევაში საერთაშორისო აზარტული ტურნირის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დარღვევა გამოიწვევს ჯარიმას 50 000 ლარის ოდენობით, ხოლო არაუფლებამოსილი პირის მიერ საერთაშორისო აზარტული ტურნირის ორგანიზება ან მოწყობა იწვევს მის დაჯარიმებას 150 000 ლარით.** შოთა ბერეკაშვილის განმარტებით, **საერთაშორისო აზარტული ტურნირების მოწყობა ხელს შეუწყობს ტურისტული მიზიდულობის გაზრდას და ქვეყანას დამატებით ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს.**

**პარლამენტმა კანონპროექტი პირველი მოსმენით, დაჩქარებული წესით განიხილა და 74 ხმით 8-ის წინააღმდეგ მიიღო.**





ძმები ფეიქრიშვილები



# რა მოხდა გლდანის მე-8 დაწესებულებაში და რას შეეწირა გიორგი პატარიძე!

**სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს რამაგ თათარაშვილი უხელმძღვანელებს. მისი წინამორბედის გიორგი პატარიძის უფლებამოსილების შეჩერების რეკომენდაციით საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ იუსტიციის სამინისტროს მიმართა. თავის მხრივ კი, პატარიძემ პაატა სალიას თანამდებობიდან გათავისუფლების განცხადება გაუგზავნა. სხვათა შორის, განცხადებაში არ დაუკონკრეტებია, რატომ ტოვებს თანამდებობას, თანაც მხოლოდ პროკურატურის მოთხოვნის შემდეგ.**

**პატონო პაატა, გთხოვთ, გამათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან** – ნათქვამია **გიორგი პატარიძის** განცხადებაში. **შესაბამისად, ამ დრომდე უცნობია მისი პოზიცია, იღებს თუ არა პასუხისმგებლობას 19 ოქტომბერს, გლდანის მე-8 დაწესებულებაში მომხდარ ძალადობრივ ფაქტთან დაკავშირებით, ან იყო თუ არა საქმის კურსში, როგორ მოხვდნენ ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები ერთ საკანში? ამ კითხვებზე პატარიძემ უკვე პროკურატურას უნდა უპასუხოს.**

შეგახსენებთ, რომ გლდანის მე-8 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ძმები – **დავით** და **გიორგი ფეიქრიშვილების** ცემისა და ფიზიკური დაპირისპირების შესახებ ინფორმაცია ოჯახმა და ადვოკატებმა გაავრცელეს. დაკავებულების დედის **ნინო აზრამიშვილის** განცხადებით, მისი შვილები საკანში შეყვანილმა პირებმა სცემეს. ოჯახი ფიზიკურ ანგარიშსწორებაში ე.წ. კრიმინალურ ავტორიტეტებს – **ვატო ყიფიანსა** და **ავთანდილ ბილანიშვილს** (იგივე „აწროს“) ადანაშაულებს.

თავდაპირველად პენიტენციური სამსახური კატეგორიულად უარყოფდა ძმები ფეიქრიშვილების ცემის ფაქტს და ინფორმაციას სიცრუეს უწოდებდა. იგივე პოზიცია ჰქონდათ ბრალდებულების, მათ შორის, ავთანდილ ბილანიშვილის ადვოკატებსაც, რომლებიც უარყოფდნენ ფეიქრიშვილებისთვის დაზიანებების მიყენების ფაქტს და გავრცელებულ ცნობებს დეზინფორმაციად მიიჩნევდნენ.

ტყუპი ძმები ფეიქრიშვილები, სამართალდამცველებმა 2026 წლის 22 სექტემბერს, ჯგუფური ძალადობისა და გამოძალვის ბრალდებით დააკავეს, რის შემდეგაც მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ. როგორც ცნობილია, ფეიქრიშვილებისა და ვატო ყიფიანს შორის დაპირისპირება წლებს ითვლის.

მოგვიანებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა დაადასტურა ძმები ფეიქრიშვილების ცემის ფაქტი. დავით ფეიქრიშვილი მრავლობითი მოტეხილობებით ვივამედის კლინიკაში გადაიყვანეს. გიორგი ფეიქრიშვილმა კი ძმაზე განხორციელებული ძალადობის შემდეგ, თვითდაზიანება მიიყენა. გლდანის მე-8 დაწესებულებაში მომხდარ ძალადობრივ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყო იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, მოგვიანებით კი საქმე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს. სისხლის სამართლის საქ-



ვატო ყიფიანი და ავთანდილ ბილანიშვილი

მეზე ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს ყველა აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო ღონისძიებები.

**აღსანიშნავია, რომ 22 ოქტომბერს, სახალხო დამცველმა საჯაროდ მიმართა საქართველოს პროკურატურას, რათა საქმის გამოძიება პროკურატურის ორგანოებისთვის დაექვემდებარებინა, გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვის მიზნებისთვის. სახალხო დამცველის აპარატმა წერილობითაც მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას და მიაწოდა ძმების – დავით და გიორგი ფეიქრიშვილებთან გასაუბრებისას შედგენილი დეტალური ოქმები, სადაც მე-8 პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარ სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებით საუბრობდნენ და პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლების ჩართულობაზე მიუთითებდნენ.**

ავთანდილ ბილანიშვილის, იგივე „აწროს“ ადვოკატის განცხადებით, ინფორმაცია, თითქოს ფეიქრიშვილებს დაზიანება ავთანდილ ბილანიშვილმა მიაყენა ან კიდევ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბილანიშვილი მათ საკანში შეუშვეს, ეს არის ტყუილი. თამარ აბესაძე ამტკიცებს, რომ ბილანიშვილი და ძმები ფეიქრიშვილები სხვადასხვა კორპუსში არიან. მისივე თქმით, პატიმრობაში მყოფი ძმების – გიორგი და დავით ფეიქრიშვილების დედას, რომელიც შვილების მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე საუბრობს, „მოციები ალაპარაკებს“.

**ერთი საკითხია, რომ პატიმარმა დაზიანება მიაყენა სხვა პატიმარს და ეს არის ყოვლად დაუშვებელი, პირდაპირ უარვყოფთ ამ ფაქტს. მათი ერთ საკანში მოთავსებაც ნამდვილად არ მომხდარა და ამას გამოძიება დაადგენს. რაც შეეხება ამ მოარულ ინფორმაციას, რომელიც ასევე აგზნებდია, თითქოს ავთანდილ ბილანიშვილი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან თავის სურვილისამებრ გამოდის და დასეირნობს ქალაქში, ეს ტყუილი და დეზინფორმაციაა!**

საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოძიების დასრულებას ელოდება მმართველი გუნდი. ვიცე-სპიკერის გია ვოლსკის განცხადებით, პატიმრის მიმართ დამოკიდებულება, ზოგადად, სახელმწიფოს პოზიციას და სახელმწიფოს სტანდარტს გამოხატავს. ვიცე-სპიკერი აღნიშნავს, რომ ამ მხრივ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, საქართველოს არასდროს ჰქონია შენიშვნები საერთაშორისო ექსპერტების დონეზე და არც აპირებს, რაიმე შენიშვნა მიიღოს.

**„საზოგადოებას აინტერესებს სწორი, სამართლიანი და დაუფარავი ინფორმაცია. ინფორმაცია, რასაც ჩვენ ყოველდღიურად ვადევნებთ თვალს, არის საფუძველი იმისა, რომ პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელს უფლებამოსილება შეუჩერდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად დამნაშავეა, თუმცა დანაშაულის ყველა ნიშანი არსებობს. აქედან გამომდინარე, დაველოდოთ გამოძიებას.**

თამთა ძარჩავა

## თაღლითი ადვოკატი გამოიჭირეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად თაღლითობის ბრალდებით ადვოკატი დააკავეს.**

**შსს-ს ცნობით, კომპლექსური ღონისძიებების, მათ შორის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფი მსჯავრდებულის დას მოტყუებით მოსთხოვა 10 000 ლარი. ბრალდებული ქალს დაჰპირდა, რომ აღნიშნულ თანხას თითქოსდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს გადასცემდა, რომლებიც ფულის სანაცვლოდ მისი ძმის საქმეზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების საკითხს მოაგვარებდნენ.**

**გარდა ამისა, ბრალდებულმა მსჯავრდებულის დას დამატებით 100 000 ლარი მოსთხოვა და მოატყუა, თითქოს აღნიშნული თანხიდან 40 000 ლარი პროკურატურისთვის უნდა გადაეცა, რის სანაცვლოდაც საპროცესო შეთანხმება უკეთესი პირობებით გაფორმდებოდა, ხოლო დარჩენილი 60 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა ჩარიცხულიყო. მსჯავრდებულის ოჯახის წევრმა ადვოკატს საკითხის მოსავარებლად 10 000 ლარი გადასცა. სამართალდამცველებმა ადვოკატი ბრალდებულის სახით დააკავეს. მას 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.**

## სახალხო დამცველი პარლამენტს მოუწოდებს, რომ არ მოხდეს „ლატარიებისა და აზარტული თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონპროექტის შემდგომი მიღება ადამიანის უფლებებზე გავლენის რისკების შეფასების გარეშე

**საქართველოს სახალხო დამცველი ეხმიანება საქართველოს პარლამენტში „ლატარიებისა და აზარტული თამაშობების მოწყობის შესახებ“ და მისგან გამომდინარე სხვა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც პარლამენტის მიერ 27 ოქტომბერს პირველი მოსმენით იქნა მიღებული და რომლის თანახმადაც, სამორინეებს საერთაშორისო აზარტული ტურნირების მოწყობის შესაძლებლობა ექნებათ.**

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, სახალხო დამცველი მოუწოდებს პარლამენტს, არ მოხდეს აღნიშნული კანონპროექტების შემდგომი მიღება. განსაკუთრებით დამაზიანებელია ამ საზოგადოებისთვის სენსიტიური საკითხის დაჩქარებული წესით განხილვა, შესაბამისი ექსპერტების და ადამიანის უფლებებზე გავლენის რისკების სრულყოფილად შეფასების გარეშე.



**„აზარტული თამაშები სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აზარტულ თამაშებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემად განიხილავს და ხაზს უსვამს ისეთ შესაძლო შედეგებს, როგორებიცაა ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესება, არასრულწლოვნებზე გავლენა, ფინანსური სირთულეები, ოჯახური კონფლიქტები და თვითმკვლელობის გაზრდილი რისკი. ის რეკომენდაციას უწევს აზარტული თამაშების რეკლამირების, ხელმისაწვდომობისა და სათამაშო ბიზნესის კონტროლის ეფექტიანი ზომების აუცილებლობას.**

**ინიციირებული კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, მისი მიღების მიზანს წარმოადგენს ტურიზმის განვითარება, ტურნირების უცხოელი მონაწილეების მოზიდვა და ეკონომიკური აქტივობის ზრდა, თუმცა დოკუმენტი არ შეიცავს: საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ცალკე შეფასებას; ბარათში არ არის გაანალიზებული შესაძლო სოციალური ზიანი და მისი პრევენციის ხარჯები; კანონპროექტის მომზადებაში შესაბამისი ექსპერტებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა არ ყოფილა უზრუნველყოფილი; არ არის მიმოხილული სხვა ქვეყნების გამოცდილება; განმარტებითი ბარათის თანახმად, ის გავლენას არ მოახდენს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, თუმცა არ ჩანს, რას ეფუძნება აღნიშნული შეფასება.**

**სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის კანონპროექტების განხილვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკითხის ყოველმხრივ და სრულყოფილ შესწავლას, მათ შორის, შესაბამისი სფეროს ექსპერტების ფართო და სათანადო ჩართულობას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შემოთავაზებული ცვლილებების შეფასება არ შემოიფარგლოს მხოლოდ მატერიალური სარგებლის განსაზღვრით და სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული ჯანმრთელობასა და სოციალურ კეთილდღეობაზე მათი შესაძლო გავლენა და დაკავშირებული რისკები.** ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

პარლამენტმა „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი და მისგან გამომდინარე ცვლილებების პროექტი პირველი მოსმენით, **დაჩქარებული წესით განიხილა და 74 ხმით რვის წინააღმდეგ მიიღო.**



# „დონალდ ტრამპი მორალურ იმგეცილს წარმოადგენს,

**„ძალაუფლებასთან მათი სიახლოვის წყურვილმა განაპირობა ის, რომ თითქოსდა პრინციპული კონსერვატორები საკუთარ პრინციპებს და ქვეყანას ღალატობენ" – ასეთი შთამბეჭდავი სათაური აქვს ბრიტანულ „დეილი ტელეგრაფში" (The Daily Telegraph)** გამოქვეყნებულ სტატიას, რომლის ავტორი, ცნობილი ჟურნალისტი და პოლიტიკური მიმომხილველი **დომინიკ ლოუსონი** (იგი სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა გაგეთ Sunday Telegraph-ს და ჟურნალ Spectator-ს) **აშშ-ის პრეზიდენტის მიერ გატარებულ საგარეოპოლიტიკურ კურსს უკრაინის მიმართ მკვეთრად ნეგატიურად აფასებს და იმავდროულად აკრიტიკებს დონალდ ტრამპის მხარდამჭერ პოლიტიკოსებსაც, რომლებიც თავიანთი ცვალებადი და ორაგზროვანი ქცევით შაქტიურად ხელს უწყობენ აშშ-ის პრეზიდენტის კიევის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებს.**

## გთავაზობთ პუბლიკაციას მცირეოდენი შემოკლებით:

## The Daily Telegraph

**პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ხშირად კეთილგანწყობით მოიხსენიებს რუსეთს და აშკარად სიმპათიებს გამოხატავს თავისი რუსი კოლეგის ვლადიმერ პუტინის მიმართ. და იგი ამას აკეთებს იმ დაბომბვების ფონზე, რომლებსაც უკრაინისათვის ყოველდღიურად მსხვერპლი და ნგრევა მოაქვს. ამერიკელი ლიდერი აცხადებს, რომ რუსეთი უკრაინას „არგად ეპყრობა" და „ცუდს არაფერს აკეთებს". სინამდვილეში კი პირიქითაა. ამბობენ, თურმე დონალდ ტრამპი დათანხმებულა ილონ მასკის წინადადებას, რომ უკრაინისათვის თანამგზავრული კავშირის სისტემა „სტარლინკი" შეზღუდულიყო და როცა ამ ფაქტს ამომრჩევლებში (საზოგადოებაში) ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა, პრეზიდენტმა მოარული ხმები საჩქაროდ უარყო და განაცხადა, რომ მოხსენიებული ფაქტთან მას არავითარი კავშირი არა აქვს.**

და მაინც **დონალდ ტრამპის** მიერ გამოვლენილი თანმიმდევრული შემწყნარებლობა ვლადიმერ პუტინის მიმართ მაამებლურად იქნა მხარდაჭერილი რესპუბლიკური პარტიის წევრთა უმეტესობის მიერ კონგრესის ორივე პალატაში. არც ერთ რესპუბლიკელს არ გამოუხატავს უთანხმოება – არაფერი რომ არ ვთქვათ კონგრესის წევრობიდან გადადგომაზე იმ პრეზიდენტის ქცევის გამო, რომელიც მათი პარტიის წარმომადგენელია.

თვით **მარკო რუბიოც** კი დღეს სხვაგვარად ლაპარაკობს. იგი აშშ-ის სახელმწიფო მდივნად დანიშვნამდე სენატის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის წევრი იყო, იმ დროს შეუვალობას ამუღავნებდა კრემლის მიმართ და აცხადებდა – **„ვლადიმერ პუტინი დასავლეთის უსაფრთხოებისათვის საფრთხეს წარმოადგენსო"** (მას „განგსტერს" უწოდებდა). გარდა ამისა, 2022 წლის დასასრულს მან ისიც აღნიშნა, რომ **„ჯოლოდიმირ ზელენსკი და უკრაინელი ხალხი თავისუფლების წინა ხაზზე იბრძვიან. მათი ბრძოლა ჩვენი ბრძოლაა და მათი მხარდაჭერა პირდაპირ შედის აშშ-ის ეროვნულ ინტერესებში"** მან უკრაინელი ლიდერი შეაქო **„საოცარი გმირობისა და მამაცობის გამოვლენისათვის აგრესორის წინააღმდეგ"**. მაგრამ...

გასულ კვირას **მარკო რუბიომ** საჭიროდ ჩათვალა, საყვედური ეთქვა უკრაინის პრეზიდენტის მიმართ იმის გამო, რომ მან გაბედა და ვარაუდი გამოხატა – შესაძლოა აშშ-ის ადმინისტრაციას რაღაც კავშირი აქვს „სტარლინკის" ნაწილობრივ გამორთვასთანაც. სკანდალური ფაქტია, როცა ის მაღალჩინოსანი რესპუბლიკელები, რომლებიც ადრე კრემლის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ახლა სრულიად საპირისპიროდ მოქმედებენ და მორჩილად მიჰყვებიან **დონალდ ტრამპის** კურსს რუსეთის მიმართ.

ეს ეხება აწ განსვენებულ სენატორ-რესპუბლიკელ **ლინდსი გრემსაც,** უკრაინისადმი ამერიკული დახმარების გაწევის ყველაზე გავლენიან მომხრეს. იგი პერმანენტულად ცდილობდა, ზეწოლა მოეხდინა **ჯო ბაიდენის** ადმინისტრაციაზე, რომ უკრაინისათვის შორი მოქმედების რაკეტები და ავიაგამანადგურებლები მიეწოდებინა და მიღებულიყო ისეთი კანონი, რომლის თანახმად, რუსეთი ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ გამოცხადდებოდა.

**მაგრამ ოვალურ კაბინეტში 2025 წლის თებერვალში მომხდარი იმ სკანდალური ინციდენტის შემდეგ, როცა პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკი მკაცრად გააკრიტიკეს და ფაქტობრივად, თეთრი სახლიდან გააძევეს, ლინდსი გრემმა სწორედ მაშინ განაცხადა: „მე არასოდეს ისეთი ამაყი არ ვყოფილვარ პრეზიდენტით, როგორც ახლა... არ ვიცი, შევძლებთ თუ არა კიდევ ოდესმე მასთან ურთიერთობას".**

**ორი კვირის წინათ დონალდ ტრამპმა დაარღვია კონგრესის მიერ მიღებული ანტირუსული სანქციების კანონი, რომლის შემუშავებაში ლინდსი გრემიც მონაწილეობდა – აშშ-ის პრეზიდენტი გაურიგდა თავის რუს კოლეგას რუსული დიზელის საწვავის შესყიდვის თაობაზე. სხვათა შორის, თვითონ „გრემის კანონშივეა" ჩადებული დებულება, რომ პრეზიდენტს მისი იურიდიული მოქმედების შეჩერება შეუძლია, „თუ ამას აშშ-ის ეროვნული ინტერესები მოითხოვს". დონალდ ტრამპმაც მშვენივრად ისარგებლა ამ შესაძლებლობით.**

**ლინდსი გრემი** რომ ახლა ცოცხალი ყოფილიყო, ალბათ, იგი მხარს დაუჭერდა დონალდ ტრამპის ამსურდულ მცდელობას ამერიკელი ამომრჩევლების დასარწმუნებლად იმაში, რომ სწორედ უკრაინული დრონების შეტევამ რუსულ ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე გააძვირა აშშ-ში საწვავი და არა ირანის წინააღმდეგ პრეზიდენტის ნებით გამოცხადებულმა ომმა.

ბრიტანეთის ექსპრემიერ-მინისტრმა **გორის ჯონსონმა,** რომელიც თანმიმდევრულად მხარს უჭერს უკრაინას, დაგმო დონალდ ტრამპის გადაწყვეტილება რუსეთისაგან დიზელის საწვავის შესყიდვის თაობაზე. უკრაინაში გორის ჯონსონს დიდ პატივს სცემენ – სწორედ ის იყო პირველი უცხოელი ლიდერი, რომელმაც უკრაინელებს თანამედროვე ლეტალური იარაღი მიაწოდა იმ დროს, როცა ვლადიმერ პუტინმა თავისი ტანკები კიევისაკენ გაუშვა.... თუმცა იგივე ჯონსონი ასევე ცნობილია ტრამპისადმი გამოხატული ქება-დიდებითაც, თუმცა ყოველთვის ცნობილი იყო, რომ თეთრი სახლის ამჟამინდელ მინადარს ვოლოდიმირ ზელენსკი არც მაშინ არ მოსწონდა და მისი სიმპათიები უფრო მეტად ვლადიმერ პუტინისაკენ იხრებოდა.

**ალბათ, გვერს ახსოვს პირველი შემთხვევა, 2025 წლის მარტის დასაწყისში, როცა თეთრმა სახლმა სანქცია გასცა უკრაინისთვის თანამგზავრული (კოსმოსური) დაზვერვის მონაცემები დროებით აღარ მიეწოდებინათ, რის შემდეგ რუსეთმა დაბომბვები გააძლიერა. იმ ხანებში მე დავწერე სტატია, რომელშიც შევეცადე ამეხსნა დონალდ ტრამპის მოქმედების მიზეზები და ვამბობდი, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ნაბიჯს განაპირობებდა მისი დიდი ხნის იმედი იმისა, რომ რუსეთში ბიზნესს განავითარებდა, თანხებს მიიღებდა და რომ მაღლობელი პუტინი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანია, მას უხვად დაასაჩუქრებდა.**

ჩემი სტატია ზუსტად ამ სიტყვებით მთავრდებოდა: **„სრულიად აშკარაა, რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, საკუთარი კოლოსალური მოგების მიღების იმედით, ვლადიმერ პუტინთან თავის განსაკუთრებულ ურთიერთობას ფულად გადააქცევს".**

**გორის ჯონსონმა** იმავე დღეს ელფოსტით წერილი მომწერა: **„თქვენმა სტატიამ დღეს დილით ფურორი მოახდინა. სხვათა შორის, მეც იგივეს ვფიქრობ უკვე საკმაო ხანია. აშკარად საქმე მართლაც ფულს ეხება. გულისამრევია ასეთი მოქმედება".** თუმცა ვიტყვი იმასაც, რომ ცოტა მოგვიანებით, იმავე კვირაში გორისმა თავის სტატიაში ტონი შეცვალა და სათაურით **„ჯერა, რომ ტრამპი ყოველი თავისი დარტყმით პუტინს განგმირავს"** დაწერა: **„ვიცი, რომ სულის სიღრმეში დონალდ ტრამპს ნამდვილად სურს სუვერენული უკრაინის არსებობა. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მე ყოველთვის ვიყავი ტრამპის პრეზიდენტობის მიმართ პოზიტიურად განწყობილი, სხვებისგან განსხვავებით, იმაში გამოიხატება, რომ მე პირადად ვთვლი – ტრამპს მოლაპარაკების დროს აქვს საკმარისი სიმტკიცე და აგრესია სასურველის მისაღწევად".**

მართლაცდა, **გორის ჯონსონი** იმ მცირერიცხოვანი ბრიტანელი პოლიტიკოსებიდან ერთ-ერთს წარმოადგენდა, რომელიც დონალდ ტრამპმა თავის ინაუგურაციაზე მიიწვია. ყველაზე უჩვეულო იყო ის, რომ ინაუგურაცია ტარდებოდა კაპიტოლიუმის როტონდაში, ანუ იმავე ადგილზე, რომელსაც 2021 წლის 6 იანვარს ტრამპის მიერ წაქეზებულმა ადამიანებმა შეუტიეს – თითქოსდა არჩევნები გაყალბდა და რესპუბლიკელთა კანდიდატს **„ხმები მოპარეს"** ამ ადამიანთან მთავარი სამიზნე იყო იმდროინდელი ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი, რომლის „ჩამოხრჩობა" სურდათ – რატომ არ გლოკავს არჩევნების შედეგების დამტკიცებასო. **„მაიკ პენსი (ჩამოხრჩობას) მართლაც იმსახურებს"** – უთქვამს დონალდ ტრამპს, როგორც მისი ყოფილი მრჩევლები ამბობენ. ისევე როგორც უკრაინასთან მიმართებით, მაღალჩინოსანი რესპუბლიკელები მკვეთრად, 180 გრადუსით შეტრიალდნენ, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ **დონალდ ტრამპს** პრეზიდენტად დაბრუნება სურდა. კერძოდ, რესპუბლიკური ფრაქციის დიდი ხნის ლიდერი სენატში მიტჩ მაკკონელი, რომელმაც ჟურნალისტთან ინტერვიუში ასე განაცხადა: „როუზოდა რა აჯანყებისაკენ, ადამიანებმაც პირდაპირ ისე გააკეთეს და


**თუმცა მისი „პატივცემული" მხარდამჭერ-ხელშემწყობები კიდევ უფრო სამარცხვინონი არიან. ძალაუფლებასთან მათი სიახლოვის წყურვილმა განაპირობა ის, რომ თითქოსდა პრინციპული კონსერვატორები საკუთარ პრინციპებს და ქვეყანას ღალატობენ**

შედეგიც მივიღეთ.. ეს იმდენად ახლო დგას დანაშაულთან, რომ პრეზიდენტი იმპიჩმენტს იმსახურებს... შესაძლოა, ამაზე უფრო მძიმე დარღვევა მხოლოდ სხვა ქვეყნის აგენტობა იყოს".

**რა თქმა უნდა, სინამდვილეში დონალდ ტრამპი მოსკოვის საიდუმლო აგენტი არ არის – ის რომ მოსკოვისგან „დაბაიბრებულია" ყოფილიყო, ესოდენ ნათლად, მკაფიოდ და ღიად არ იმოქმედებდა. საქმე იმაშია, რომ მიტჩ მაკკონელმა გადაწყვიტა, აღარ მიეცა ხმა პრეზიდენტის იმპიჩმენტისათვის და ამის შემდეგ ისეთივე მორჩილი და პირმოთნე გახდა, როგორიც, თითქოსდა, „დირსეული" ლინდსი გრემი.**

ასეთი ქცევის უკან სრულიად ადამიანური მიზეზები დგას: ძალაუფლებასთან სიახლოვის სურვილი და იმის შიში, რომ დონალდ ტრამპს შურისძიების განსაკუთრებული უნარი აქვს. სავარაუდოდ, ორივე ერთად. ასეა თუ ისე, მსგავსი ადამიანები, გარკვეული თვალსაზრისით, **დონალდ ტრამპზე** უფრო სამარცხვინონი არიან: მათ ხომ კარგად ესმით განსხვავება კეთილსა და ბოროტს შორის. პრეზიდენტი კი, თავის მხრივ, თვალთმაქცი არც არის, ის, უბრალოდ, მორალური „ამბეცილი", ანუ ჭკუასუსტი და სულელია.

**მომავალ თვეში დაგეგმილ არჩევნებში რესპუბლიკელების გამანადგურებელ მარცხს ტრამპის კიდევ უფრო გროტესკული ქცევა მოჰყვება – თანაც, იმ ადამიანების მხრიდან მუდმივი და უკიდურესად დამამცირებელი პირმოთნეობის ფონზე, რომლებმაც მშვენივრად იციან, თუ რა არის სწორი. მომავალ თვეში, სამ ნოემბერს დაგეგმილ შუალედურ არჩევნებს, თუ მასში რესპუბლიკელები გამანადგურებლად დამარცხდებიან, დონალდ ტრამპის კიდევ უფრო მეტი გროტესკული ქცევა მოჰყვება 2 თანაც მუდმივი და უკიდურესად დამამცირებელი პირმოთნეობის ფონზე იმ ადამიანების მხრიდან, რომლებმაც მშვენივრად იციან, თუ რა ხდება სინამდვილეში.**



თარგმნა
**სიმონ კილაძემ**

შაბათ-კვირას გამართულ წინასაარჩევნო შეკრებაზე პრეზიდენტმა ტრამპმა ამერიკელების შეშფოთება საწვავის მაღალი ფასების გამო უმნიშვნელოდ მიიჩნია და განაცხადა, რომ ეს ასატანი საშასურია იმ ასობით მილიარდი დოლარის სანაცვლოდ, რომელსაც, მისი თქმით, „ჩვენ“ სწორედ ფასების ზრდის შედეგად ვიღებთ.


„ჩვენ დიდ ფულს ვშოულობთ“, – თქვა მან, - „ასობით მილიარდ დოლარს. ტრილიონობით დოლარს“.

ტრამპის განმარტებით, ხალხს საწვავში შესაძლოა ცოტა მეტის გადახდა უწევდეს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან „ჩვენ“ ამით უგარმაგარ მოგებას ვიღებთ.

**მაშ, ვინ იგულისხმება ამ „ჩვენში“?**

**ცხადია, არა ამერიკელი ხალხი. ისინი ხელფასების სტაგნაციას, ინფლაციასა და საწვავის გაძვირებით გამოწვეულ დამატებით ხარჯებს აწყდებიან. ამ თვის დასაწყისში ჩატარებულმა Economist/YouGov-ის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამერიკელებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, დიდი უპირატესობით, ინფლაცია და ფასების ზრდაა. მეორე ადგილზე კი სამუშაო ადგილები და ეკონომიკის მდგომარეობა გავიდა.**

ამავე გამოკითხვაში ამერიკელებს აშშ-ის ეკონომიკის შეფასებაც სთხოვეს. ყველაზე ხშირი პასუხი, კვლავ დიდი უპირატესობით, იყო: „ცუდი“.




# ვინ შოულობს მილიარდებს ირანთან ომით?

ამ ომიდან ასობით მილიარდ დოლარს მართლაც ამერიკელი ხალხი რომ იღებდეს, ძნელი ასახსნელი იქნებოდა, რატომაა სწორედ ეს ორი საკითხი მათი მთავარი საზრუნავი.

**თუმცა გასაგებია, რას გულისხმობდა პრეზიდენტი სიტყვაში – „ჩვენ“ ის გულისხმობდა კერძო სექტორის იმ ნაწილს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული სახელმწიფო სამხედრო მანქანასთან. ნავთობკომპანიებიდან იარაღის მწარმოებლებამდე, ომი და კონფლიქტი ზრდის გავლენიანი კორპორაციების მოგებას დანარჩენი საზოგადოების ხარჯზე.**

სწორედ ამიტომ ვიმყოფებით თითქმის მუდმივი ომის მდგომარეობაში. ოცწლიანი ომი ავღანეთში, თითქმის ამდენივე ხანი ერაყში, დაუსრულებელი დაბომბვები ისეთ ქვეყნებში, როგორიც სომალია, უკვე თორმეტწლიანი და კვლავ მიმდინარე წარმომადგენლობითი ომი უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ, სამხედრო ბაზები და ფარული ოპერაციები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში.

**და თუ აღმოჩნდება, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი სამხედრო გიუჯეტიც კი არ არის საკმარისი ომის მოსაგებად საჭირო იარაღის წარმოებისთვის? პრობლემა არც ეს არის: უბრალოდ უნდა გაორმაგდეს სამხედრო ხარჯები და ყველა, ვინც ამას ეწინააღმდეგება, ქვეყნის მტრად გამოცხადდეს.**

უზარმაზარი პოლიტიკური გავლენის მქონე კერძო კომპანიები, რომელთა შორის ბევრს მჭიდრო კავშირები აქვს ხელისუფლებასთან და რომელთა ხელმძღვანელები ხშირად მონაცვლეობით გადადიან ბიზნესსა და სახელმწიფო სამსახურს შორის, ტრამპის სიტყვებით რომ ვთქვათ, ომით „უზარმაზარ ფულს შოულობენ“ მნიშვნელობა არ აქვს, ეს ომები აშშ-ის გამარჯვებით დასრულდება, მარცხით თუ ჩიხით: სახელმწიფოსთან დაახლოებული ეს კორპორაციები ნებისმიერ შემთხვევაში მოგებულები რჩებიან. ფულის ბეჭდვის მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ რესურსები ხელისუფლების მიერ რჩეულ კომპანიებში მიედინებოდეს, ხოლო ამ ომების მხარდამჭერ პოლიტიკოსებთან საარჩევნო შემოწირულებები ბრუნდებოდეს.

**დაუსრულებელი ომები კორპორატიზმს ამყარებს, ანუ ისეთ სისტემას, რომელშიც კერძო სექტორი თავისუფალ ბაზარზე კონკურენციის ნაცვლად პოლიტიკურ ძალაუფლებას ემსახურება და სახელმწიფოს გავლენის გაფართოებას უწყობს ხელს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის სისტემა, სადაც მდიდრები სარგებელს ღარიბების ხარჯზე იღებენ. ამ პროცესის საბოლოო შედეგი კი ტირანიაა.**

სწორედ ამიტომ სურდათ ამერიკის დამფუძნებელ მამებს, ომის დაწყება მაქსიმალურად რთული ყოფილიყო. მათ, როგორც ისტორიის მცოდნე ადამიანებს, ესმოდათ, რომ ომის დაწყების ძალაუფლება ერთი მმართველის ან ოლიგარქიული ჯგუფის ხელში არ უნდა მოქცეულიყო, რადგან ეს საზოგადოების გაღარიბებას და საბოლოოდ მორალურ და ფინანსურ გაკოტრებას გამოიწვევდა.

**ამიტომაც ომის გამოცხადების უფლება მათ „ხალხის შტოს“ ანუ კონგრესს, მიანიჭეს, იმ იმედით, რომ მოქალაქეებს საკუთარ წარმომადგენლებს ანგარიშვალდებულებას დააკისრებდნენ.**

**მას შემდეგ ამერიკა ამ პრინციპს მნიშვნელოვნად დაშორდა. და თუ ახლა გადარჩენა სურს, ამ პასუხისმგებლობასთან დაბრუნება მოუწევს.**

## ამერიკაში ქურდობის საქმეზე ქართველები – ლევან ალექსიძე და მამუკა ჩაგანავა დააკავეს

**აშშ-ში, კონექტიკუტის შტატში, საცხოვრებელი სახლების ქურდობის საქმეზე ორი ქართველი მამაკაცი – 40 წლის ლევან ალექსიძე და 47 წლის მამუკა ჩაგანავა დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, ეჭვმიტანილები ფეირფილდის შეძლებულ უბანში მდებარე სახლებიდან ძვირადღირებული სამკაულების ქურდობასთან არიან დაკავშირებული. ინფორმაციას ამერიკული გამოცემა CT Insider, ფეირფილდის პოლიციაზე დაყრდნობით, ავრცელებს.**

გამოცემის ცნობით, ორივე მამაკაცი ნიუ-იორკის ბრუკლინის რაიონში ცხოვრობს. ისინი 24 სექტემბერს დააკავეს, თუმცა პოლიციამ საქმის დეტალები საჯაროდ 22 ოქტომბერს გაავრცელა. გამოძიება ფეირფილდის გრინფილდ-ჰილის უბანში საცხოვრებელი სახლების გაქურდვის რამდენიმე შემთხვევის შემდეგ დაიწყო. სამართალდამცველების ინფორმაციით, დანაშაულები მსგავსი სქემით ხდებოდა – ქურდები ისეთ სახლებს არჩევდნენ, რომელთა მეპატრონეებიც იმ დროს შინ არ იმყოფებოდნენ. მათი მთავარი სამიზნე ძვირადღირებული სამკაულები იყო.

პოლიციამ გამოძიების ფარგლებში ავტომობილების სანომრე ნიშნების ავტომატური ამომცნობი სისტემა გამოიყენა. ამ ტექნოლოგიის დახმარებით სამართალდამცველებმა დაადგინეს ავტომობილი, რომლითაც სავარაუდო დამნაშავეებმა ერთ-ერთი გაქურდული სახლის მიმდებარე ტერიტორია დატოვეს. მიღებული მონაცემების, სხვა მტკიცებულებებისა და ოპერატიული ღონისძიებების საფუძველზე გამომძიებლებმა ეჭვმიტანილების იდენტიფიცირება შეძლეს.

24 სექტემბერს, საღამოს, ფეირფილდის პოლიციის დეტექტივები გრინფილდ-ჰილის რაიონში სპეციალურ ოპერაციას ატარებდნენ. მათ ბრიჯპორტის პოლიციის ავტომობილების ქურდობასთან ბრძოლის ჯგუფთან ერთად საეჭვო ავტომობილი შენიშნეს და გადაადგილებაზე დაკვირვება დაიწყეს. პოლიციის განცხადებით, ავტომობილი რამდენიმე საცხოვრებელ ქუჩაზე გადაადგილდებოდა, ხოლო მასში მყოფი პირების ქცევა მიანიშნებდა, რომ ისინი შესაძლო ახალი სამიზნის შერჩევას ცდილობდნენ.

სამართალდამცველებმა გადაწყვიტეს, სავარაუდო დანაშაული აღეკვეთათ. მათ ავტომობილი გააჩერეს და ორივე მამაკაცი დააკავეს. ლევან ალექსიძესა და მამუკა ჩაგანავას პირველი ხარისხის საცხოვრებელი სახლის ქურდობის ჩადენის მიზნით დანაშაულებრივ შეთანხმებაში მონაწილეობას ედავებიან. დაკავების შემდეგ ორივეს თავდაპირველად 100 ათასი დოლარის ოდენობის გირაო განესაზღვრა. თუმცა CT Insider-ის მიერ მოპოვებული სასამართლო მონაცემებით, ალექსიძე მოგვიანებით 75 ათასი დოლარის გირაოს საფუძველზე გათავისუფლდა, ჩაგანავა კი 22 ოქტომბრის მდგომარეობით კვლავ პატიმრობაში იმყოფებოდა, 100 ათასი დოლარის გირაოთი. გამოძიება გრძელდება და დამატებითი დეტალები ჯერჯერობით არ საჯაროვდება. უცნობია, კონკრეტულად რამდენი სახლი გაქურდეს, რა ღირებულების სამკაულებია დაკარგული და უკავშირდებიან თუ არა დაკავებულები სხვა ანალოგიურ შემთხვევებს.




## ქუთაისში 5 წლის ბავშვი აპენდიციტის ოპერაციიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა

**ქუთაისში 5 წლის ბავშვი აპენდიციტის ოპერაციიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა,** – ინფორმაციას „ინფო იმერეთი“ ავრცელებს.

**„დღეს ჩვენი ბაღისთვის ძალიან მძიმე და სევდიანი დღეა. პატარა ანგელოზო, ნაადრევად დაგვტოვე და გულებში დიდი ტკივილი დაგვიტოვე! ნათელში იყოს შენი პატარა სული, ზეციურო ანგელოზო“.**

## კახეთში სამი პირი გაბაჭრეს, ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჯგუფურად ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, რეალიზაციის ხელშეწყობის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანა-კულტივირების ფაქტებზე სხვადასხვა დროს სამი პირი დააკავეს.**

სამართალდამცველებმა გრალდებულების პირადი ავტომობილის, საცხოვრებელი სახლის ეზოს და დროებით სარგებლობაში არსებული ფერმის ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები ამოიღეს, მათ შორის, „მარიხუანა“ და მცენარე „კანაფი“.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ასევე ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებების დაფასოებისთვის საჭირო მასალები. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 260-ე კვარტა და 265-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, რაც 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## მებაჟე ოფიცრებმა ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღკვეთეს

**საბაჟო გამშვებ პუნქტებზე „ქუთაისის აეროპორტი“ და „წითელი ხიდი“ მებაჟე ოფიცრების მიერ, სავალდებულო დეკლარირებას დაქვემდებარებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის 8 ფაქტი აღიკვეთა.**

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, უცხო ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგისა და მათი მართვის ქვეშ არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დეტალური დათვალიერების შედეგად ჯამში 696 გრამი ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს.

აღნიშნული არადეკლარირებული ოქროს საერთო საბაჟო ღირებულებამ 166 681 ლარი შეადგინა. 3 მოქალაქის საქმის მასალები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა, ხოლო 5 კანონდამრღვევი მოქალაქე საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად სანქციის სახით ჯამში 44 305 ლარით დაჯარიმდა.

**განცხადება**

**მიმდინარე წლის 2 დეკემბერს, 11:00 საათზე ქ. ყვარელში კუდიგორის 2, დანიშნულია კოოპერატივი „რკ შატო აკურას“ წევრთა საერთო კრება.**

# „განკითხვის დღე“ 13 ნოემბერს!..

## რა იწინასწარმეტყველეს მეცნიერებმა 66 წლის წინათ?!

**2026 წლის 13 ნოემბერი პარასკევს ემთხვევა. თარიღს, რომელიც ექვსი ათწლეულის წინ გამოქვეყნებულმა სამეცნიერო ნაშრომმა განსაკუთრებულად აქცია.**

1960 წელს მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ თუ მსოფლიოს მოსახლეობა იმავე ტემპით გააგრძელებდა ზრდას, გარკვეულ მომენტში მისი რაოდენობა მათემატიკურ უსასრულობას მიუახლოვდებოდა. ამ გამოთვლით მიღებული თარიღი სწორედ 2026 წლის 13 ნოემბერი იყო.

**მაშინ გამოქვეყნებულმა ნაშრომმა სახელწოდებით „განკითხვის დღე: პარასკევი, 2026 წლის 13 ნოემბერი“ დიდი ყურადღება მიიპყრო.**

მიუხედავად შემაშფოთებელი სათაურისა, მეცნიერები დედამიწის განადგურების კონკრეტულ დღეს არ წინასწარმეტყველებდნენ. მათი კვლევის მთავარი მიზანი მოსახლეობის სწრაფი ზრდის შესაძლო შედეგებზე ყურადღების გამახვილება იყო.

ნაშრომის ავტორები იყვნენ ავსტრიელ-ამერიკელი მეცნიერი ჰაინც ფონ ფოერსტერი და მისი კოლეგები – პატრიცია მორა და ლოურენს ამიოტი. მათ დაახლოებით 2 000 წლის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობის შესახებ შეგროვებული მონაცემები შეისწავლეს და მათემატიკური მოდელი შექმნეს.

მკვლევრების ვარაუდით, ადამიანების უნარი, ითანამშრომლონ, განავითარონ ტექნოლოგიები და პრობლემების გადაჭრის ახალი გზები იპოვონ, მოსახლეობის ზრდასაც აჩქარებდა. მათ ისტორიული მონაცემების საფუძველზე ისეთი მრუდი მიიღეს, რომელიც



გარკვეულ მომენტში უსასრულობისკენ მიემართებოდა. ამ მოდელის მიხედვით, კრიტიკული თარიღი 2026 წლის ნოემბერი იყო. 13 ნოემბერი კი ნაშრომის ცნობილ სათაურში მოხვდა.

მეცნიერების პროგნოზი ათწლეულების განმავლობაში ყურადღებას იქცევდა, რადგან მოსახლეობის ზრდის ტენდენციებს გარკვეულ პერიოდამდე საკმაოდ კარგად აღწერდა. თუმცა, დაახლოებით 1990-იანი წლებიდან რეალური მაჩვენებლები მოდელის გამოთვლებს ჩამორჩა.

**რატომ აღარ შეესაბამება პროგნოზი დღევანდელ რეალობას?** მთავარი მიზეზი მსოფლიოში დემოგრაფიული ტენდენციების ცვლილებაა. მრავალ ქვეყანაში შობადობა შემცირდა, ოჯახები უფრო ნაკლებ შვილს აჩენენ და მოსახლეობის ზრდის ტემპი შენელდა.

გაეროს 2024 წლის დემოგრაფიული პროგნოზის მიხედვით, მსოფლიოს მოსახლეობა 2024 წელს დაახლოებით 8,2 მილიარდი იყო. ორგანიზაციის შეფასებით, მოსახლეობამ შესაძლოა მაქსიმალურ მაჩვენებელს, დაახლოებით 10,3 მილიარდ ადამიანს 2080-იანი წლების შუა პერიოდში მიაღწიოს, რის შემდეგაც კლება დაიწყოს.

**უნდა ველოდოთ თუ არა 13 ნოემბერს კატასტროფას? თანამედროვე სამეცნიერო მონაცემები არ იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ 2026 წლის 13 ნოემბერს კაცობრიობას განსაკუთრებული კატასტროფა ან სამყაროს აღსასრული ემუქრება.**

**66 წლის წინანდელი ნაშრომი დღესაც აქტუალურია, რადგან მოსახლეობის ზრდა, რესურსების მოხმარება და გარემოს დაცვა კვლავ მნიშვნელოვან გლობალურ გამოწვევებად რჩება. თუმცა 13 ნოემბრის „განკითხვის დღედ“ გამოცხადებას მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია!**

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ჭმჯი ჰოლდინგი“ როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბაგრატ ლომთათიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბაგრატ ლომთათიძე (პ/ნ 33001029684), ოზურგეთის რაიონი, სოფელი დვაბზუ, მე-7 ქ. N42

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ოზურგეთის რაიონი, ადმინისტრაციული ერთეული დვაბზუ, ნაკვეთი 469 მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 2705კვ.მ. და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობი N01, N02, N03 (საკადასტრო კოდი: 26.19.17.469)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 22719.86 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 30 ოქტომბერი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 16 ნოემბერი, 14:00 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP134526526; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1345265)

**8. მოვალე:** ბაგრატ ლომთაძე (პ/ნ 33001029684), ოზურგეთის რ-ი, ს. დვაბზუ, მე-7 ქ. N42

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ჭმჯი ჰოლდინგი“(ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 14, სართული 3.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს სამანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. სამანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალი“

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ჭმჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი“ ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 16 ნოემბრის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ჭმჯი ჰოლდინგში“ მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 14, სართული 3, ან ელექტრონულ ფოსტაზე: ghviniashvili@gmail.com

NEW YORK POST

# „ბრიტანელ ოჯახებს მოუწოდებენ, მოიმარაგონ აუცილებელი ნივთები და ომისთვის მზად იყვნენ“...

**ბრიტანელ ოჯახებს მოუწოდებენ, რომ საჭირო მარაგები შეიძინონ და ომისთვის მოემზადონ. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მდივანმა, უეს სტრიტინგმა მედიაში ახალი კამპანია სახელწოდებით „მზად იყავი“ წამოიწყო, რათა ბრიტანელების კრიზისებისთვის მზადყოფნა უზრუნველეყო – მისი თქმით, ეს შეიძლება მოიცავდეს წყალდიდობებსა და ხანძრებს, ტერორიზმსა და კიბერშეტევებს და საბოლოოდ ომსაც კი.**



* * *

**გასულ კვირას გერმანიაში გამართულ სამხედრო წვრთნებში 2500-ზე მეტი ბრიტანელი და ფრანგი სამხედრო მონაწილეობდა; წვრთნების მიზანი იმის ჩვენება იყო, თუ როგორ შეუძლია NATO-ს თავის დაცვა თავდასხმის შემთხვევაში. დაახლოებით 600-მა მედესანტემ, წვრთნა „რაინო ტიტანის“ (Rhino Titan) ფარგლებში, გერმანიის ქალაქ ზენელაგერში გაიარა. დიდი ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალების (RAF) თვითმფრინავებიდან - A400M-ებიდან მათ ჯგუფური პარაშუტით დაშვება განახორციელეს.**

**დიდი ბრიტანეთის მთავრობის ეს ნაბიჯი ევროპაშირის მიდგომას ეხმიანება. გასული წლის მარტში ევროპაშირმა თავის თითქმის 450 მილიონ მოქალაქეს მოუწოდა, სამი დღისთვის სამყოფი მარაგები მოეგროვებინათ.**

**„არ შეიძლება იმ ფაქტის დამალვა, რომ ჩვენ უფრო საშიშ და მღელვარე სამყაროში ვცხოვრობთ“** – განუცხადა სტრიტინგმა BBC-ის Newsnight-ს.

**„საქმე ეხება ქვეყნის მასშტაბით ოჯახებისთვის იმის თქმას, რომ მზად იყვნენ და შინ უბრალოდ რამდენიმე ყოველდღიური აუცილებელი ნივთი იქონიონ, თუ ასეთი მოვლენები მართლაც განვითარდება“**

**კაბინეტის უფროსმა წევრმა ჩამოთვალა გადაუდებელი აუცილებლობის ნივთები, როგორიცაა დაკონსერვებული საკვები, საფენები, შინაური ცხოველების ნივთები, ფარნები, ელემენტები, სარეზერვო მობილური ტელეფონის დამტენები და „საკმარისი ნაღდი ფულის ქონა შინ, თუ ადგილობრივი გადახდის სისტემები გაფუჭებული იქნება“**

მართალია, სტრიტინგმა განაცხადა, რომ კამპანია „ყავი მზად“ (Be Ready) ნებისმიერი საგანგებო სიტუაციისთვის, მათ შორის ბუნებრივი კატასტროფებისთვისაა განკუთვნილი, თუმცა ეს ინიციატივა იმ დროს გამოჩნდა, როდესაც მან ევროპულ ქვეყნებს ომისთვის მომზადების აუცილებლობის შესახებ საგანგაშო გაფრთხილებები მისცა და მიანიშნა, რომ ომი, შესაძლოა, რამდენიმე წელიწადშიც კი დაიწყოს.

**„ჩვენი მოწინააღმდეგეების სურვილი, ზიანი მოგვაყენონ, ახალი ამბავი არ არის. შეიცვალა მხოლოდ მათი შესაძლებლობები“** – წერს ის გამოცემა Telegraph-ში.

**„2030 წლისთვის მათი სამხედრო ძალები და საომარ რეჟიმზე გადაწყობილი ეკონომიკა შესაძლოა ჩვენზე თავდასხმის შესაძლებლობას აძლევდეთ. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ 1000 დღეზე ოდნავ მეტი გვაქვს ჩვენი მისიის შესასრულებლად: ვიყოთ მზად, მოკავშირეებთან ერთად ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ. ყველაზე ცუდი სცენარის თავიდან ასაცილებლად, სწორედ მისთვის უნდა მოვემზადოთ“**

**სტრიტინგმა საზოგადოება გააფრთხილა, რომ გაერთიანებული სამეფოსთვის საფრთხეს მხოლოდ „აზღვრებზე მომავალი რუსული ტანკები“ არ წარმოადგენს.**

**„რესებობს ასევე ტერორიზმის, დივერსიებისა და ისეთი მტრული ქმედებების მზარდი საფრთხე, რომლებიც მიმართულია ჩვენი ცხოვრების წესის დარღვევის, უსაფრთხოების შერყევისა და საზოგადოებაში შიშის დათესვისკენ“** – განაცხადა მან.

სტრიტინგმა გამოცემა The Sun-ს განუცხადა, რომ მთავრობის მოწოდება მარაგების შექმნის თაობაზე „არც ისეთი დიდი მოთხოვნაა“

**„მინდა, ხალხი იყოს ფხიზლად, მაგრამ არა ანერვიულებული“** – განაცხადა მან.

**ქვეყნისთვის მიყენებული ზიანისთვის დემონსტრანტებს**

## 10 000 ევრომდე ჯარიმა დაეკისროთ!

საფრანგეთის სენატმა დაამტკიცა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, აქციების დროს მიყენებული ზიანისთვის ფინანსური პასუხისმგებლობა დემონსტრანტებს დაეკისრებათ.

კანონპროექტი მაისში, უეფას ჩემპიონთა ლიგის ფინალში „პარი სენ-ჟერმენის“ მიერ „რესენალის“ დამარცხების შემდეგ პარიზში მომხდარი არეულობის საპასუხოდ მომზადდა. თუმცა ინიციატივამ დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც 17 ოქტომბერს გამართული საპროტესტო აქციები საფრანგეთში ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ძალადობრივ არეულობაში გადაიზარდა. ქვეყნის მასშტაბით ათასობით ობიექტი დაზიანდა, გაძარცვეს ათასობით მაღაზია. სენატმა კანონპროექტის გაფართოებულ ვერსიას 229 ხმით 105-ის წინააღმდეგ დაუჭირა მხარი. კანონპროექტის თანახმად, ქუჩის აქციების დროს მიყენებული ზიანისთვის დემონსტრანტებს, შესაძლოა, 10 000 ევრომდე თანხის გადახდა დაეკისროთ. ზიანის ანაზღაურების მიზნით, შესაძლოა, პირებს სოციალური დახმარებისა და საცხოვრებლის სუბსიდირების თანხებიც ჩამოაჭრან.

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ჭმჯი ჰოლდინგი“ როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს თამარა კიკილაშვილის და თამარ კიკილაშვილის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრე:** თამარა კიკილაშვილი (პ/ნ 40001030949), სიღნაღის მუნიციპალიტეტი ს. ჯუგაანი ღვინის ქ. N9ა; თამარ კიკილაშვილი (პ/ნ 40001024927), სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ს. ჯუგაანი ღვინის ქ. N9ა

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** სიღნაღის რაიონი, სოფელი ჯუგაანი, ღვინის ქ. N9ა მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 1394 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 ფართით 146 კვ.მ განაშენიანების; შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 87.00 N2 (სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე); N3 (სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე); N4 (სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე) (საკადასტრო კოდი: 56.06.55.013)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 35622.77 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 30 ოქტომბერი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 16 ნოემბერი, 14:00 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის N**71271HZP134495426**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1344954)

**8. მოვალე:** თამარა კიკილაშვილი (პ/ნ 40001030949), სიღნაღის რ-ნი, სოფელი ჯუგაანი, ღვინის ქ. N9ა;
თამარ კიკილაშვილი (პ/ნ 40001024927), სიღნაღის რ-ნი, სოფელი ჯუგაანი, ღვინის ქ. N9ა;
ამირან კიკილაშვილი (პ/ნ 40601042595), სიღნაღის რ-ნი, სოფელი ჯუგაანი, ღვინის ქ. N9ა.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ჭმჯი ჰოლდინგი“(ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 14, სართული 3.

10. აუქციონის პირობები:

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ჭმჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „ტიბისი ბანკი“ ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 16 ნოემბრის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ჭმჯი ჰოლდინგში“ მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 14, სართული 3, ან ელექტრონულ ფოსტაზე: **ghviniashvili@gmail.com**

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ჭმჯი ჰოლდინგი“ როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მალხაზ ჯიბლაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მალხაზ ჯიბლაძე (პ/ნ 62001021984), აბაშა, სოფელი გეზათი, ნაკვეთი 1681

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** აბაშის რაიონი, სოფელი გეზათი, ნაკვეთი 1681 მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 3978.00 კვ.მ. და მასზე მდგომი შენობანაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართით 185.7 კვ.მ.(I სართული- 95 კვ.მ., II სართული-90.7 კვ.მ.), N2; N03 (სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე); N04 (სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე); N05 (სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე) (საკადასტრო კოდი: 40.02.35.1681)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 55559.03 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 30 ოქტომბერი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 16 ნოემბერი, 14:15 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის N**71271HZP134504726**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1345047)

**8. მოვალე:** მალხაზ ჯიბლაძე (პ/ნ 62001021984), აბაშა, სოფელი გეზათი, ნაკვეთი 1681.
შპს თოლია (ს/კ 422432647), აბაშა, სოფელი გეზათი

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ჭმჯი ჰოლდინგი“(ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 14, სართული 3.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ჭმჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „ტიბისი ბანკი“ ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 16 ნოემბრის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ჭმჯი ჰოლდინგში“ მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 14, სართული 3, ან ელექტრონულ ფოსტაზე: **ghviniashvili@gmail.com**

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ჭმჯი ჰოლდინგი“ როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზაზისბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს რამაზ ჯავახაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რამაზ ჯავახაძე (პ/ნ 01023007785), თბილისი, დისევის I ჩიხი N4

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქალაქ თბილისში, დისევის I ჩიხი N4 მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 1300კვ.მ. და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობასთან ერთად. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა N1 საერთო ფართით 174.19 კვ.მ. (მათ შორის: საბაფხულო ფართი 52 კვ.მ., დამხმარე ფართი 122.19 კვ.მ.) (საკადასტრო კოდი: 01.13.01.001.083)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 525443.42 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 30 ოქტომბერი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 16 ნოემბერი, 14:00 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის N**71271HZP134507026**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1345070)

**8. მოვალე:** რამაზ ჯავახაძე (პ/ნ 01023007785), თბილისი, დისევის I ჩიხი N4;
გიორგი ჯავახაძე (პ/ნ 01023004406), თბილისი, დისევის I ჩიხი N4.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ჭმჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 14, სართული 3.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ზაზისბანკი“

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ჭმჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „ტიბისი ბანკი“ ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 16 ნოემბრის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ჭმჯი ჰოლდინგში“ მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 14, სართული 3, ან ელექტრონულ ფოსტაზე: **ghviniashvili@gmail.com**

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ჭმჯი ჰოლდინგი“ როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს კაზიმ ისაევის და შაგიმამ ისაევას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კაზიმ ისაევი (პ/ნ 12001020475) და შაგიმამ ისაევა (პ/ნ 12001069460), გარდაბანი, ს. ყარაჯალარი

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** გარდაბნის რაიონი, სოფელ ყარაჯალარში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 1800კვ.მ. მასზე არსებულ შენობა-ნაგებობასთან ერთად (საკადასტრო კოდი: 81.06.06.283)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 8856.32 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 30 ოქტომბერი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 16 ნოემბერი, 14:30 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე **www.eauction.ge** (განაცხადის N**71271HZP134505026**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1345050)

**8. მოვალე:** აისელ ისაევა (პ/ნ 12001097434), გარდაბანი, ს. ყარაჯალარი;
კაზიმ ისაევი (პ/ნ 12001020475), გარდაბანი, ს. ყარაჯალარი;
ჯეიხუნ ისაევი (პ/ნ 12001086808), გარდაბანი, ს. ყარაჯალარი;
შაგიმამ ისაევა (პ/ნ 12001069460), გარდაბანი, ს. ყარაჯალარი.

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ჭმჯი ჰოლდინგი“(ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 14, სართული 3.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ჭმჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „ტიბისი ბანკი“ ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 16 ნოემბრის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ჭმჯი ჰოლდინგში“ მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 14, სართული 3, ან ელექტრონულ ფოსტაზე: **ghviniashvili@gmail.com**



# გზა დაელოცოთ!

**სენეგალის დედაქალაქი დაკარი 31 ოქტომბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით ზაფხულის მე-4 ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს 25 ქვეყნის 2700-მდე წარგზავნილის მონაწილეობით.**

წინა ფორუმები სინგაპურში, ჩინეთსა და არგენტინაში გაიმართა, ხოლო ერთი კოვიდპანდემიის გამო გადაიდო.

ჯვაროსანთა სპორტულ ღირსებას აფრიკაში 13 რჩეული დაიცავს 9 სახეობაში, საიდანაც 2 არაოლიმპიურია – უშუ და ქვიშის ჭიდაობა. ამდენივე წევრიანი გახლავთ რუსეთის დელეგაცია, რომელიც საერთაშორისო სარბიელზე 3-წლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ სრული ატრიბუტიკით (დროშა, სახელმწიფო ჰიმნი) დაუშვეს ბელარუსთან ერთად.

მართალია, შავ კონტინენტზე უმძიმესი კლიმატური პირობები დაგვხვდება იქაური 30 გრადუსი სიცხის სახით, რაც ჩვენებური 35-38-ის ტოლფასია, მაგრამ თანატოლთა შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების 6 პრიზიორის სახით მედლების პრეტენდენტები მაინც გვყავს. დავძენთ, რომ ჩვენი მედროშეა **გვანცა ქარჩავა** (უშუ).






# „დინამო არენაზე“ ქართველ ფეხბურთელთა ვარსკვლავები გაიხსნება

□ამის შესახებ ინფორმაციას უეფა-ს მედიაოფიცერი **მამუკა კვარაცხელია** ავრცელებს.

**□ადლობა სპორტის მინისტრს, შალვა გოგოლაძეს, დათო ოქიტაშვილს და ლექსო საგანელიძეს. მათი თანადგომით, □დინამო არენაზე□ გორის პაიჭაძის ძეგლის წინ სამი ლეგენდარული ქართველი კაპიტნის, მურთაზ ხურცილავას, მანუჩარ მაჩაიძის და ალექსანდრე ჩივაძის ვარსკვლავები გაიხსნება. ვარსკვლავების შემდეგ თბილისის □დინამოსა□და □ბერიის□მატჩია, ვინ იცის, იქნება საჩემპიონოც□** □ამბობს **მამუკა კვარაცხელია.**

ვარსკვლავების გახსნა □დინამო არენაზე□ გორის პაიჭაძის ძეგლის წინ 31 ოქტომბერს, 17 საათზე დაიგეგმა. 19 საათზე კი თბილისის □დინამოსა□და □ბერიის□მატჩი დაიწყება, რომლის შედეგიც საჩემპიონო ბრძოლაზე მოახდენს გავლენას.

# ამ სასტუმროში დირექტორი! მე ვარ!

**ლონდონის პალადიუმ თეატრში გამართულმა ოქროს გურთის 70-ე დაჯილდოებამ უეფასა და ფრანს ფუტბოლის მიმართ კითხვის დასმისკენ გვიბიძგა – განა აუცილებელია 5-საათიანი მარათონული შოუ სასურველის რეალობად გასასაღებლად?**

თუ უფრო დავაკონკრეტებთ სათქმელს, ალბათ ბევრი ხვდებოდა, რომ დაჯილდოების ცერემონიალის საფრანგეთიდან ფეხბურთის სამშობლოში გადატანით მისი ორგანიზატორები მასპინძელთათვის კოჭის გაგორებას ცდილობდნენ **სერ სტენლი მეტიუზის** მიერ პირველ გამოკითხვაში მოპოვებული გამარჯვებიდან საიუბილეო თარიღის გამო. მართლაც, მას შემდეგ იყო **კევინ კიგანისა** და **მაიკლ ოუენის** ტრიუმფები, მაგრამ ამ უკანასკნელის წარმატებიდან ხომ უკვე მთელი მეოთხედი საუკუნე გავიდა?

ჰოდა, როგორც კი მიუნხენის ბაიერნში ტიტულების მოსახვეჭად გადაბარგებული გოლების ფაბრიკა **ჰარი კეინი** მთელი დატვირთვით ამოქმედდა, იქ, ზემოთ, მოკალათებულმა ჰალსტუხიანმა მაღალჩინოსნებმა ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანეს და 12-კილოგრამიანი და 24-კარატიანი ოქროთი გაწყობილი ოქროს ბურთი ნისლიან ალბიონზე დააბრუნეს. არც მეტი, არც ნაკლები – მერე რა, რომ საამისოდ პრესტიჟული ჯილდოს მისანიჭებლად განსაზღვრული კრიტერიუმების დარღვევა მოუწიათ – მას შემდეგ, რაც მოსახდენი მოხდა, ვინღაა გამკითხავი?!

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ახალი ლაურეატის საწინააღმდეგო გვქონდეს რამე – პირიქით, იგი ფეხბურთის ჭეშმარიტი დიდოსტატია, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ისევე როგორც მეორე ადგილზე გასულ ასევე მრისხანე გომბარდირს **კილიან მბაპეს,** არც მუნდიალი მოუგია და არც ჩემპიონთა ლიგა, უამრავი ბურთის გატანისთვის კი მათ უკვე დამსახურებულად გადაეცათ შესაბამისი პრიზები, მაგალითად – ოქროს ბუცი?

და აი, მივადექით მთავარს – მაშ, ვის უფრო ეკუთვნოდა ძვირფასი ხმები? თუ ობიექტურნი ვიქნებით, ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად **ფაბიან რუისი** გამოიყურება, რომელიც



ორივე ზემოთჩამოთვლილი ფორუმის გამარჯვებული გახდა, თუმცა მისთვის ადგილი მხოლოდ ელიტური ათეულის ბოლოში გამოიძებნა.

ასევე თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მისივე ესპანელი თანამემამულენი – **იამალი** და **როდრი,** თანაც ისე, რომ არავინ გაითვალისწინა მათი მსოფლიო ჩემპიონობა.

რაც შეეხება ამერიკულ მუნდიალზე არგენტინის ფინალში გმირულად გამყვან ლამის პენსიონერ **ლეო მესის,** ასეთ ფონზე რაღა გასაკვირია, რომ მისთვის ხმოსანმა ჟურნალისტებმა, ანუ ოფიციოზის ნების აღმსრულებელმა ჟიურიმ მხოლოდ მე-5 ადგილი გაიმეტა. ჩვენ საამაყოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ასეთი უსამართლობის მიუხედავად ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე **ხვიჩა კვარაცხელია** თვით მესის მეზობლად მე-6 პოზიციაზე დამკვიდრდა, რითაც გაუმჯობესა ქართველთა შორის აქამდე თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში საუკეთესო შედეგი – მე-7 ადგილი, რომელიც 1981 წლიდან სულმნათ **რამაზ შენგელიას** ეკუთვნოდა.

ვიმედოვნებთ, ხვიჩა ღირსეულად გადაიტანს უმძიმეს ტრავმას და კარიერულ ოცნებას მაინც აისრულებს. შეგახსენებთ, რომ 2023-ში იგი მე-17 იყო, ხოლო შარშან – მე-12.

მთლიანობაში უკონკურენტოდ გამოიყურება ესპანური ფეხბურთი – მისმა წარმომადგენლებმა 18-დან 7 ნომინაციაში გაიმარჯვეს, აქედან 5-ში – ბარსელონას წევრებმა.

## ლაურეატები

**მწვრთნელები:** დე ლა ფუენტე, რომეუ.
**ახალგაზრდები:** იამალი, ლოპესი.
**მეკარეები:** სიმონი, კოლი.
**გომბარდირები:** კეინი, კორალი (პაჩუკა).
**წლის კლუბი:** პარი სენ-ჟერმენი, ბარსელონა.
**სოკრატესის ჯილდო:** საკა (არსენალი).
**ოქროს ბურთი:** კეინი, პუტელიასი.

# კარგი ქართული ამბები

## ჭადრაკი

**ატირაუ (ყაზახეთი).** დიდი საერთაშორისო ტურნირი – იქაური თასის გათამაშების მე-3 ეტაპი 20-მდე ქვეყნის 100-ზე მეტი წარმომადგენლის მონაწილეობით (საპრიზო ფონდი – 100 ათასი ამერიკული დოლარი).

**ბრინჯაო (დაუმარცხებლად)** – ბაადურ ჯობავა – 6,5 ქულა.

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა



**ასტანა (ყაზახეთი).** მსოფლიოს ჩემპიონატი. **საქართველოს ნაკრები** – 3 მედალი. **ბრინჯაო** – ვახტანგ ლოლუა, იური ლომაძე, ლაშა გომაძე.

## წყალბურთი

**ისტორიაში პირველად წლევანდელ ევროტურნირებში ერთბაშად 4 ქართული კლუბი ჩაება, აქედან 2 – კონფერენც ლიგაზე, სადაც 23 გუნდი თამაშობს.**

აღსანიშნავია, რომ ორივემ წარმატებით დაძლია ჯგუფური რაუნდი და მომდევნო ეტაპზე გავიდა. საამისოდ ოლიმპმა თბილისის ოლიმპიკის აუზში მე-2 ადგილი დაიკავა 2 მოგებითა და 1 წაგებით, ხოლო იბერიამ უნგრულ სეგედში 4 მეტოქიდან 2-ის ძლევით მე-3 პოზიცია იკმარა.

## ძიუდო

**საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უახლოესი 2 წლის განმავლობაში გურამ მოდებაძე გაწვრთნის, რომელიც 2018 წელს რამდენიმე თვით უკვე თავკაცობდა გუნდს.**

ისიც შევიტყვეთ, რომ ბიჭები ინდივიდუალურად პირად აღმზრდელებთან მოემზადებიან და ახალ დამრიგებელს ერთგვარი კოორდინატორობა დაეკისრება.


**დუშანბე (ტაჯიკეთი).** ისტორიული პირველი გრან პრი ახალგაზრდებს შორის. **საქართველოს ნაკრები** – 5 მედალი. **ვერცხლი** – საბა საბაშვილი, ლუკა თევდორაძე, ნიკოლოზ ზაალიშვილი. **ბრინჯაო** – მერაბ სამადაშვილი, ქეთი რობაქიძე.

# ორმაგ დუბლთან...

**ჩრდილოეთ ევროპის ლიგის** მესამე ტურში **ალექს მერკვილაძის** □დონარ გრონინგენმა□□ვოლუნტარი□90:71 დაამარცხა და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

ქართველ კალათბურთელს ისევ კარგი თამაში ჰქონდა. მერკვილაძემ 36 წუთში 15 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. შესაბამისად, ერთადერთი მოხსნა დააკლდა ორმაგ დუბლამდე. ალექსმა 3-დან 3 ორქულიანი და 10-დან 9 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო 4 სამქულიანი არაზუსტად ისროლა.

□დონარ გრონინგენი□1 მოგებით და 2 წაგებით თავის ჯგუფში მეექვსე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 3 ნოემბერს, □ალკარს□სტუმრად შეხვდება.



**საქართველოს 15-ქალა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბინადარ პორტუგალიასთან ამხანაგურ თამაშს გამართავს. ტესტ-მატჩი 30 ნოემბერს სტუმრად გაიმართება.**

პორტუგალიის 15-ქალა ნაკრებმა თავისი პირველი საერთაშორისო მატჩი 1995 წელს გამართა და გერმანიაში მასპინძლებთან 0:50 დამარცხდა. მას შემდეგ გუნდი მთელი 26 წლის განმავლობაში აღარ შეკრებილა და პორტუგალიის 15-ქალა ნაკრები 2021 წელსღა აღდგა. 2022-23 წლებში პირენეელებმა რაგბი ევროპის ალაფის ყველა თამაში მოიგეს, ჩემპიონატში აღზევდნენ და 2025 წელს შვედეთთან გამარჯვებაც იზეიმეს – 38:3.


2026 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ლუზიტანიელმა გოგონებმა სამივე თამაში დათმეს – ნიდერლანდებთან 0:59, ესპანეთთან 5:45 და ბელგიასთან 5:15. საქართველოს 15-ქალა ნაკრები პირველად 2025 წლის გაზაფხულზე შეიკრიბა და ყაზახეთთან ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა, იმავე წლის შემოდგომიდან კი რაგბი ევროპის კონფერენც დივიზიონში ითამაშა. პირველ ოფიციალურ მატჩში **გიორგი მაისურაძის** შეგირდებმა რუმინეთი 43:0 დაამარცხეს, წელს თებერვალში კი ხორვატეთს 55:5 მოუგეს.

# ღირსეულ მეჯოქესთან



შიდა ჩემპიონატის (7 და 10-ქალა ტურნირები) ორგანიზების შემდეგ, რაგბი ევროპამ საქართველოს მოთხოვნა დააკმაყოფილა და 2027 წლიდან ჩვენი 15-ქალა ნაკრები რაგბი ევროპის ალაფაზე ითამაშებს, სადაც 6 თებერვალს გერმანიას სტუმრად შეერკინება, 13 და 27 მარტს კი თბილისში შვედეთსა და ფინეთს უმასპინძლებს.

# ანზორ ბუკიას ნათელ ხსოვნას



წუთისოფელს კიდევ ერთი ცნობილი აფხაზეთელი განერიდა. მისი ცად ამაღლებით აფხაზეთთან დამაკავშირებელი კიდევ ერთი სასიცოცხლო ძაფი გაწყდა.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ანზორ მამანტის ძე ბუკია. კაცი, შემკული ჭეშმარიტი კოლხური ტრადიციებითა და, ზოგადად, ცხოვრების ღირსეული წესით.

დაიბადა 1939 წელს, ახმეტაში. ოჯახის ქალაქ გალში გადასვლის შემდგომ (1945 წ), მისი სიცოცხლე და შრომითი საქმიანობა ორგანულად და განუყოფლად დაუკავშირდა ამ ქალაქს, სრულიად აფხაზეთს...

საშუალო სკოლის შემდგომი, ცხოვრებისათვის მოსამზადებელი პირველსაწყისი საფეხური, ბორჯომის სატყეო ტექნიკუმი იყო. შემდგომი კი – ლენინგრადის სატყეო-ტექნიკური აკადემია, რომელსაც იმხანად დარგის გახმაურებული მესვეური – ევგენი სერგის ძე მურახტანოვი ხელმძღვანელობდა...

ანზორ ბუკიას შრომითი საქმიანობის ძირითადი არეალი გალისა და გულრიფშის რაიონები იყო. პროფესიული საქმიანობის კეთილი კვალი ორივეგან გაავლო.

სააქაოს მოვლენილთათვის დედოღირსებად მეგობრობის უნარის ქონას მიიჩნევდა.დიდებული სამეგობრო წრე ჰყავდა. უფრო მეტიც, აფხაზეთში ჭკუასაკითხავი კაცების პლეადას იცნობდა...

მტკივნეულად განიცდიდა ქართულ-აფხაზური ხიდჩატეხილობის ფაქტს. სახალხო დიპლომატიის მაგალითის ნიმუშია მისი ურთიერთობა აფხაზურ ოჯახებთან, ზოგადად აფხაზებთან...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნად კეთილ საქმეთა საკეთებლად იყო მოვლენილი. სოციუმის აქტიური წევრი გრძანდებოდა... სიკვდილს სირცხვილადაც კი მიიჩნევდა. იმ კაცებს განეკუთვნებოდა, ვინაც კარგად უწყის არსებითი სხვაობა სიკვდილსა და გარდაცვალებას შორის...

კაცურკაცის სახელი და შესანიშნავი ოჯახი დატოვა. დატოვა შთამომავლობა, რომელსაც მისგან მოძებული ცხოვრებისეული საგზლის ფასი კარგად მოეხსენება...

„საუკუნოდ იყავნ ხსენება შენი, ხსენება და კურთხევა იმისი, ამინ!□.

პავლე ქვაჩახია, ვახტანგ ყოლბაია, რუდიკ ცატავა, თამაზ ხუბუა, დალილა ხორავა, ოთარ შონია, გივი ზუხბაია, თემურ ყალიჩავა.

თენგიზ ქავთარაძე, მერაბ გურული, ზურაბ ფოჩხუა სამძიმარს უცხადებენ გია სიჭინავას დედის

ციალა დათას ასული მარკოზია-სიჭინავას

გარდაცვალების გამო.



„არდავიწყება მოყვრისა“...

# ეპოქის ადამიანი აბრამ ხარაშვილი

**დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 13 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ნანა ჯიჯინაძის და ამავე ასოციაციის წევრის სოსო თევზაძის პატრონაჟით ეპოქის ადამიანის აბრამ ხარაშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა, რომელსაც ახლახან 100 წელი შეუსრულდა.**


ხსოვნის საღამო საკუთარი პოეტური მონტაჟით დაამშვენა დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლემ სალომე პავლიაშვილმა.

აბრამ ხარაშვილის შრომით მოღვაწეობაზე ისაუბრა მისმა შვილმა **მარინე ხარაშვილმა.**

აბრამი დაიბადა 1926 წლის 2 აგვისტოს და გარდაიცვალა 2025 წლის 26 თებერვალს.

სამამულო ომის დაწყებისთანავე მამამისი ფრონტზე გაიწვიეს, 14 წლის ასაკში მოზარდი დარჩა ოჯახში დედასთან და 4 მცირეწლოვან და-ძმასთან ერთად. საჭირო იყო ოჯახის გამოკვება. მან მიატოვა სკოლა და კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. იგი ტოლს არ უდებდა მუშაობაში უფროსებს, რისთვისაც ომის დამთავრების შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „ზურგში თავდადებული და კეთილსინდისიერი შრომისთვის“. ფრონტიდან მამის დაბრუნების შემდეგ სწავლა გააგრძელა საღამოს სკოლაში და პარალელურად წითელწყაროს სახანძრო რაზმის მეხანძრედ მუშაობდა. შემდეგ ჩააბარა მილიციის აკადემიაში და კვალიფიციური მილიციელიც გახდა. წითელწყაროს რაიონულ განყოფილებაში ხედავდნენ რა მის დაუღალავ შრომას და ნიჭიერებას თავის პროფესიაში, უმატებდნენ წოდებებს და აწინაურებდნენ. 26 წლის ასაკში აბრამ ხარაშვილი უკვე მილიციის კაპიტანი და წითელწყაროს მილიციის უფროსის მოადგილე იყო.

1963 წელს მშობლიური რაიონიდან იგივე თანამდებობაზე გადაიყვანეს საგარეჯოს რაიონში, რამდენიმე წლის შემდეგ კი, მაიორის წოდებით მუშაობა გააგრძელა გურჯაანის რაიონში, სადაც რამდენიმე წელიწადი დაჰყო. შემდეგ, პენსიაში გასვლამდე მუშაობდა აღმოსავლეთ საქართველოს რკინიგზის მილიციის უფროსის თანამდებობაზე ვიცე-პოლკოვნიკის წოდებით.



პენსიაზე გასვლის შემდეგ აბრამი დაბრუნდა მშობლიურ რაიონში და ოჯახურ მეურნეობას მიჰყო ხელი, თუმცა, ორიდე წლის შემდეგ, ჯან-ღონით სავსე კაცი ადგილობრივ კირის ქარხანაში პროფკავშირების თავმჯდომარედ, შემდეგ საქნავთობის უბნის მომარაგების განყოფილების დირექტორად განამწესეს. გარკვეული წლები მუშაობდა აგრეთვე წითელწყაროს რაიონის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსად, ჯაფარიძის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ...

აბრამ ხარაშვილი იყო საოცრად შრომისმოყვარე, შეუპოვარი, პრინციპული, სამართლიანი, შემოქმედებითი აზროვნების მქონე ადამიანი.

მის სახელს უკავშირდება მრავალი რთული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და ჭეშმარიტების აღსრულება. აბრამ ხარაშვილს მიღებული აქვს მრავალი სახელმწიფო და ეროვნული ჯილდო. ბოლოს ეპოქის ადამიანის წოდებაც კი დაიმსახურა.


იგი გახლდათ საუკეთესო მწიგნობარი, მისი სამაგიდო წიგნი იყო ბიბლია, მუდმივად ეცნობოდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებს, განსაკუთრებით მეგობრობდა მწერლებთან ვლადიმერ ალფენიძესა და ეთერ ფაცურიასთან.

აბრამ ხარაშვილს ოჯახიც დიდებული და ტრადიციული დარჩა. შვილები – გივი ხარაშვილი თადარიგის პოლკოვნიკია, ამჟამად პენსიონერი, მარინე – ექიმი პედიატრი, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე, რძალი – ლალი ხარაშვილი დამსახურებული პედაგოგი, ჰყავს 5 შვილიშვილი და 12 შვილთაშვილი... წლეულს 2 აგვისტოს ელიობის დღესასწაულზე შვილებმა და შვილიშვილებმა დიდი ოჯახის მამის და პაპის დაბადების 100 წლის იუბილე აღნიშნეს.

**ხსოვნის საღამოზე გამოვიდნენ საქართველოს მარცვლეულისა და მერძევეობის ასოციაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ ბენიაიძე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ბესიკ ცისკარაული, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი დავით გურასპაული, საქართველოს გვარიშვილთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტი, ჟურნალ „რევიუ-ჰოროსკოპის“ რედაქტორი ლერი კვაჭანტირაძე, დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგები თამარ ალადაშვილი, ნათელა პოპიაშვილი, გაზეთ „შირაქის“ რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი, ლიტერატურული ალმანახის „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელი გიორგი ნატროშვილი და სხვები. ღონისძიების მთავარი ლაიტმოტივი იყო დღევანდელი ახალგაზრდობისთვის ეპოქის ადამიანების შეხსენება, მათთვის იმის გაანალიზება, რომ„არდავიწყება მოყვრისა არ-ოდეს გვიზამს ზიანსა“.**

მარიკა პოპიაშვილი,
დედოფლისწყარო.





# გელა კიკნაძის არდავიწყება

1956 წლის 1 ნოემბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ საღანძილეში მცხოვრებ სოსო კიკნაძის ოჯახს შეეძინა მესამე შვილი გელა კიკნაძე, რომელმაც დაამთავრა ხარაგაულის #1 საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის ელექტროავტომატის ქარხანაში პირველი თანრიგის ზეინკლად, სულ მალე მიაღწია უმაღლეს ხარისხს – მეექვე თანრიგს. გელა კიკნაძე წარმატებით ართმევდა თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ის მუდამ უპირველესი იყო საწარმოსათვის საჭირო და აუცილებელი „შტამპების“ დამზადებაში. სულ მალე გადაიყვანეს ქარხნის ტექნიკური ბიუროს უფროსად.

გელა კიკნაძე მღეროდა ქარხნის ანსამბლ „შვიდკაცაში“, ისეთი ლამაზი და ტკბილი პირველი ხმა ჰქონდა, ერთ-ერთ კონცერტზე დიდმა ჰამლეტ გონაშვილმა ნახევრადხუმრობით უთხრა: დაანებე თავი მაგ ელექტროავტომატს და გადმოდი ჩემთან „რუსთავში“ და იქ იმღერე შენი წკრიალა ხმითო. მოგვიანებით დათანხმდა კიდეც ჰამლეტის წინადადებას... ნოტების შესწავლა და ჩაწერა დაიწყო მანანა თოდაძესთან და ბორის შხიანთან, მაგრამ არ დასცალდა, რამდენიმე კვირაში გარდაიცვალა...

საწარმოოს რეკომენდაციით 1978 წლის ნოემბერში სწავლა დაიწყო მოსკოვის ოლქის ბალაშიხის უშიშროების უმაღლეს სკოლაში, შემდგომში, მოსკოვის უშიშროების აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1983 წელს და მუშაობა დაიწყო საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში გამომძიებლად. სულ მალე მიიღო უფროსი გამომძიებლის და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის სტატუსი. პარალელურად დაინიშნა აფხაზეთის კონფლიქტის საკითხთა სამთავრობო კოორდინატორად.

1991-92 წლებში გადაყვანილ იქნა საქართველოს სახელმწიფო კომიტეტის იურიდიული სამმართველოს უფროსად.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას განდევნის შემდეგ, დააბრუნეს საქართველოს საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს გამომძიებლად. 1992 წლის 23 ივნისს დაიბარეს რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში და შესთავაზეს საქართველოს საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის სამმართველოს ხელმძღვანელის, ამავე დროს საქართველოს საინფორმაციო სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობა. რამდენიმე დღეში გელა მოულოდნელად, 1992 წლის 27 ივნისს დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მრძოლაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ისე რომ, ახალ სამსახურში შესვლაც ვერ მოასწრო. ხელისუფლების გადაწყვეტილებით დაკრძალულია თბილისის საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, სადაც 34 წელიწადია, ყოველ 1 ნოემბერს და 27 ივნისს თვალცრემლიანები დადიან მისი მეგობრები, თანამებრძოლები, ოჯახის წევრები, ნათესავები – გელა, მაიზერ, გიორგი წითელაშვილები, გია კურტანიძე, ვახტანგ ინასარიძე, აწ განსვენებული ალეკო გაბუნია და ნანო ავალიშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ძმისშვილები ლელა, ნია, ნიკოლოზ კიკნაძეები, სოსო მითაძე, ვარლამ გურგენიძე, თანამებრძოლები და თანამშრომლები, აწ გასვენებული ალექსანდრე მირიანაშვილი, გივი ღუბიანური და მირიან თავხელიძე; უშიშროების პოლკოვნიკები მალხაზ სალაყაია, ლევან კვაშილავა, ვალერი კურტანიძე, რატი თაყაიშვილი, ვახტანგ ჩანადირი, გოჩა შავაძე, თემურ ქარქაშაძე, ზურა მელქაძე და სხვები.

საფლავს თვალცრემლიანი რუდუნებით უვლის მისი და იზოლდა კიკნაძე.

მისი ძმის ვახტანგ კიკნაძის, მეგობრისა და მწვრთნელის ნოდარ ებანოიძის, აგრეთვე და ანზორ მაღრაძის თაოსნობით რესპუბლიკაში პირველად ჩატარდა „არამსოფლიო და არაოლიმპიური ჩემპიონი“ სპორტსმენის გელა კიკნაძის სახელობის ტურნირი ჭიდაობაში, რომელიც დღესაც ტარდება ხარაგაულში. უფალმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს, სახელს და ხსოვნას.

ოჯახი და ახლობლები.



# სტუდენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულები

**სტუდენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის □მირანი 2026□ის გამარჯვებულები გამოვლინდნენ.**

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, 20-25 ოქტომბერს, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, მე-19 საერთაშორისო ფესტივალი □მირანი□გაიმართა.

მთავარი ჯილდოების მფლობელები გახდნენ: გრან-პრი -Second Spring (რეჟ. **ოლექსი ჩუბუნი**, ჩეხეთი);

**საუკეთესო** მხატვრული ფილმი □One Arm (რეჟ. **მატეო მილიონე,** არგენტინა);

**საუკეთესო** დოკუმენტური ფილმი – The Shore of a Witness (რეჟ. **ტეო ალაზრაკი**, არგენტინა);

**საუკეთესო** ანიმაციური ფილმი □Growth Project (ჩეხეთი);

**ჟიურის** სპეციალური აღნიშვნა □□ქ ვარ□(რეჟ. საბა ბოდოკია, საქართველო).

ფიჩინგ ფორუმის გამარჯვებულები გახდნენ: **ლუკა კოპალეიშვილი, ლიზა ჩადუნელი** და **ნინა დიდებაშვილი.**

**□საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ულოცავს გამარჯვებულებს და უსურვებს შემდგომ წინსვლასა და წარმატებებს.**

**2027 წელს ფესტივალი 20 წლის იუბილეს აღნიშნავს□,** □ აღნიშნულია ინფორმაციაში.

# თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა) მოჰამედ ალასტადის გამოფენა გაიხსნა



**საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა □ხელოვნებით ნაგები ხიდები□ მუზეუმის ინფორმაციით, გამოფენაზე წარმოდგენილია ემირატელი მხატვრის მოჰამედ ალასტადის (Mohamed Al Astad) ნამუშევრები.**

გამოფენა საქართველოში არაბთა გაერთიანებული საამიროების საელჩოსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლობით იმართება.

**ღონისძიების მიზანია ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავება და ხელოვნების მეშვეობით შემოქმედებითი დიალოგის ხელშეწყობა.**

მოჰამედ ალასტადი 1968 წელს, ხორფაკანში დაიბადა. ცხოვრობს და მუშაობს აბუ-დაბიში. მისი შემოქმედების შთაგონების წყაროა არაბთა გაერთიანებული საამიროების ბუნება, ზღვაოსნობის მემკვიდრეობა და არქიტექტურა. მხატვრის რეალისტურ და სიურრეალისტურ ნამუშევრებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზღვისა და სანაპიროს ხედებს, პეიზაჟებსა და ადგილობრივ ცხოველთა სამყაროს გამოსახულებებს.

**□ხელოვნება ადამიანებს შორის ხიდია□** – ამბობს მოჰამედ ალასტადი. ეს სიტყვები გამოფენის მთავარ იდეასაც გამოხატავს ხელოვნების მეშვეობით ერთმანეთის კულტურის გაცნობასა და ადამიანებს შორის კავშირების გაძლიერებას. გამოფენა 8 ნოემბრამდე გასტანს.

# კულტურათაშორისი დიალოგის VII მსოფლიო ფორუმი ბაქოში

**კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ფორუმი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა გახსნა.**

ფორუმის მიზანი კულტურათაშორისი დიალოგის მეშვეობით მშვიდობის, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების მიღწევაა. წლევანდელი დისკუსიის თემა იყო რომლობისა და კოორდინაციის გაძლიერებაზე. პლენარულ სხდომას ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი **ელისო ბოლქვაძე,** საქართველოს კულტურის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი **ზურაბ გაკურაძე,** თბილისის სასულიერო აკა-



□დიალოგი საერთო მომავლისთვის: ხიდების მშენებლობა დაყოფილ სამყაროში□

ფორუმის ფარგლებში, გიულისტანის სასახლეში გამართულ პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა კულტურის მინისტრის მოადგილე ნათია შამათავა.

სხდომის მონაწილეებმა იმსჯელეს ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის კულტურათაშორისი დიალოგის მიმართულებით სტრატეგიული თანამშრომლობისა და სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი **გიორგი ზვიადაძე** და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **გიორგი ზაქარაშვილი.**

სამდღიანი ფორუმი, რომელიც აერთიანებდა სახელმწიფო უწყებების მაღალი რანგის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აკადემიურ წრეებსა და სამოქალაქო სექტორს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა.

# როგორი იქნება თანამედროვე ტიპის თბილისის ცენტრალური რკინიგზის სადგური?!

**საქართველოს რკინიგზამ თბილისი ცენტრალის რეაბილიტაცია დაიწყო. მიმდინარე სამუშაოებს კომპანიის გენერალური დირექტორი ლაშა აბაშიძე გაეცნო.**

მისი განცხადებით, თბილისის ცენტრალური რკინიგზის სადგური მოძველებული იყო და გარკვეულ სამუშაოებს საჭიროებდა.

**□ჩვენში გვაქვს გავაკეთოთ თანამედროვე სადგური, ვაახლებთ ყველა ბაქანს. ვფიქრობთ რომ 10-11 თვის განმავლობაში სრულად მოვახდენთ სადგურის რეაბილიტაციას. გვექნება გაცილებით თანამედროვე სადგური, რომელიც კომფორტული იქნება მგზავრებისთვის.“** □აცხადებს **ლაშა აბაშიძე.**

თბილისი ცენტრალში ბაქნების დემონტაჟი უკვე დაწყებულია. პროექტის მიხედვით, ბაქნების გარდა, შეიცვლება მგზავრების მოსაცდელი კუთხეები, გაკეთდება ახალი ესკალატორები, ასევე სახანძრო მაშუქი მოწყობილობები და დამონტაჟდება საავარიო განათება. თბილისი ცენტრალის განახლების ჯამური ღირებულება დაახლოებით 7 მლნ ლარია.



საქართველოს რესპუბლიკა

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com

**ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:**
GE90BG0000000538329790

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოგულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოგულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგვგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგვჯდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 711057

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 2 ნოემბერს**

# ლიმილი...



– მარო, შენ ქმარს როგორ ანებივრებ?

– რა გითხრა, აბა?! ჩუმადა ვარ ხოლმე, ზოგჯერ!

* * *

დილით ცოლი ქმარს სამსახურში აცილებს.

– ამ საღამოს არაფერი დაგეგმო, რომ მოხვალ, ისტერიკა უნდა მოგიწყო!

* * *

ისეთ მდგომარეობაში ჩააგდეს კაცი, რომ ნებისმიერი ადგილი, სადაც შეიძლებოდა თავის ჩამოხრჩობა, მისთვის უკვე საკუთარი სახლივითაა!

* * *

– ჩემო პარგო, რამდენი წლისა ხარ?

– 29-ის!

– კი მაგრამ, 29-სა, როგორც თავად მითხარი, შარშან იყავი!

– ჩემ სიტყვას, ხომ იცი, რომ არასდროს გადავდივარ!

* * *

– კუკური, ცოლის შერთვა თავიდან ვინ გირჩია?

– აღარ მახსოვს, მარა ხომ იცი, რამდენი მტერი მყავს?!

* * *

საერთოდ, მაკარონი ხარობს იტალიაში. სანამ გაიზრდება და მომწიფდება, მას ვერმიშელს ეძახიან.

* * *

იგი იყო ჩვენი მაღალი საზოგადოების ნამდვილი მაგდალინელი...

* * *

ჩვენ დროში უბიწობა, თუნდაც იურიდიული, დიდი იშვიათობაა!